

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა  
მაკროეკონომიკის მიმართულება



ზ ა ზ ა წ ი კ ლ ა უ რ ი

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი თემაზე:

**გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა  
საქართველოს ეკონომიკაზე**

მეცნიერ ხელმძღვანელი:  
თანამდებობა: ასოცირებული პროფესორი  
სახელი, გვარი: მალხაზ ჩიქობავა

თბილისი

2019

## ანოტაცია

გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზების შესახებ დღემდე არ არის სრული კონსენსუსი მიღწეული მეცნიერებს შორის. შესაძლებელია ითქვას, 2007-2008 წლების კრიზისი დღემდე ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და ბევრი ეკონომისტის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია გლობალური კრიზისის გავლენის შესწავლა საქართველოში, რადგან სამომავლოდ დროულად შეძლოს ქვეყანამ შესაბამისი რეაგირება, რომ კრიზისის შედეგად მიყენებული ზიანი იყოს მინიმალური.

ნაშრომის მიზანია გლობალური ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზების, შედეგების შესწავლა და მისი გავლენის წარმოჩენა საქართველოს ეკონომიკაზე. გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენის შესაფასებლად ნაშრომში განხილულია საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები, გაკეთებულია მათი დინამიკის ანალიზი, ასევე განხილულია საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები და მათი შედეგები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ყველა ზემოთ ხსენებულ საკითხზე დაყრდნობით გამოკვეთილია გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები და შეფასებულია ანტიკრიზისული ღონისძიებების ეფექტიანობა.

Zaza Tsiklauri

## The impact of the global economic crisis on the economy of Georgia

### Annotation

The complete consensus about the causes of global economical crisis has not been achieved yet. It can be said that the crisis of 2007-2008 gives many questions till today and represents the field of interest of many economists. To study the influence of gobal crisis in Georgia is important in order the country to manage the relevant reaction for the future in time and the harm caused by the result of crisis should be minimal.

The aim of the work is to study the results of causes of global financial crisis and to show its influence on the economy of Georgia. For the estimation of global economical crisis in the work is discussed the macroeconomic indicators of Georgia, is maid the analysis of its dynamic and also are discussed anti-crisis measures and their results taken by the Georgian government and National bank.

In the final part of the work according to all the aboved-mentioned issues are distinguished the results of global financial crisis and is estimated the efficiency of anti-crisis measures.

## შინაარსი

შესავალი -----	5
<b>თავი I. ეკონომიკური თეორიები კრიზისების შესახებ-----</b>	<b>8</b>
1.1. ეკონომიკის ციკლური განვითარების არსი და კრიზისების თეორიები -----	8
1.2. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები -----	28
<b>თავი II. თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და საქართველო -----</b>	<b>42</b>
2.1. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი -----	42
2.2. მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა საქართველოზე -----	64
<b>თავი III. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა საქართველოში-----</b>	<b>69</b>
3.1. მონეტარული პოლიტიკის ანტიკრიზისული შესაძლებლობები -----	69
3.2. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა -----	76
დასკვნა	
გამოყენებული ლიტერატურა -----	88

## შესავალი

ეკონომიკური კრიზისების გამომწვევი მიზეზები, მისი თავისებურებები და შედეგები ეკონომისტებისათვის ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. ეკონომისტები ოდითგანვე ცდილობდნენ აეხსნათ ეკონომიკური კრიზისების ბუნება, განესაზღვრათ მისი გამომწვევი მიზეზები, რათა მოეხდინათ კრიზისების რეგულირება და პროგნოზირება. რადგანაც ეკონომიკურ კრიზისებს საფუძვლად შეიძლება დაედოს სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული მიზეზები, შესაბამისად, მისი ბუნება საკმაოდ მრავალფეროვანია. სწორედ ამ მრავალფეროვნებამ გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით, არსებობს უამრავი თეორია და ჰიპოთეზა, რომელიც ცდილობს ახსნას ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები.

ეკონომიკური კრიზისები არის თანამედროვე ეკონომისტების ყურადღების ცენტრში. კრიზისების ბუნება საკმაოდ ბუნდოვანია, ასევე საკმაოდ რთულია იმ მიზეზების განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს კრიზისის საფუძველს, ხოლო რაც შეეხება მის რეგულირებასა და პროგნოზირებას, ეს თემა მაინც ბუნდოვან და ნაკლებად შესწავლილ საკითხად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისების კვლევა ძალიან მაღალ დონეზე არის აყვანილი, ბევრი კითხვა ისევ პასუხგაუცემელი რჩება. ამიტომ, აღნიშნული საკითხი დიდ სირთულეს და სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ბევრი ეკონომისტისათვის.

კრიზისებს ეკონომიკურ მეცნიერებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, რადგან ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკაში კრიზისების შესაძლო სამომავლო არსებობას და მათ პრევენციას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ შესაძლოა ვერ მოახდინოს კრიზისების სრული პრევენცია, ამიტომ მან უნდა შეძლოს კრიზისების დროსაც წარმატებით ფუნქციონირება.

საუბარია იმაზე, რომ ყველა ქვეყანა აქტიურად უნდა მუშაობდეს ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავებაზე, რადგან მინიმუმამდე იყოს დაყვანილი კრიზისის მოხდენის ალბათობა და მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული კრიზისის უარყოფითი შედეგები.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს: ეკონომიკური განვითარების ციკლურობის და თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესწავლა, ასევე მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე; ანტიკრიზისული პრევენციული ღონისძიებების განხილვა და მათი ეფექტიანობის შეფასება; საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკის ანალიზი და კრიზისის უარყოფითი შედეგების კვლევა, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დასახული მონეტარული პოლიტიკის და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი; საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური გარემოს შეფასება და ამ შეფასების საფუძველზე დასკვნების გამოტანა.

მოცემული ნაშრომის კვლევის საგანია ეკონომიკური კრიზისების თეორიებზე დაყრდობით ეკონომიკური ციკლებისა და თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა და თავისებურებების ახსნა. მისი შედეგების გაანალიზება საქართველოს მაგალითზე, საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის შესწავლა და საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ტენდენციების კვლევა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პირველ თავში განხილულია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის შეხედულებები ეკონომიკურ კრიზისებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომისტების ყურადღების ცენტრში დღესაც ეკონომიკური ციკლები და თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისია, ნაშრომში განვიხილეთ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტების მოსაზრებები; გავანალიზეთ ბიზნეს ციკლების გამომწვევი შესაძლო მიზეზები, მისი განვითარების ფაზები, წამყვანი ინდიკატორები და ხაზი გავუსვით მათ ეკონომიკურ მნიშვნელობას; განვიხილეთ თანამედროვე ფინანსურ-

ეკონომიკური კრიზისის ძირითადი პოსტულატები, გამომწვევი მიზეზები, შედეგები და პრევენციული ღონისძიებები.

მეორე თავში განხილულია საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა, მაკროეკონომიკური ინდიკატორები დაყოფილია ეკონომიკური სექტორების მიხედვით და გაანალიზებულია თითოეული მაჩვენებელი წლების მიხედვით, ასევე განხილულია საქართველოზე მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის ზეგავლენა. გამოკვეთილია ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა დაქვეითებაც მოხდა კრიზისის დროს და ხაზგასმულია ამ დაქვეითების გამომწვევის მიზეზები. ასევე აღწერილია სპირალის ეფექტი საქართველოში, თუ როგორ სპირალისებურად გავრცხელდა მაკროეკონომიკური ინდიკატორების უარყოფითი შედეგები ერთმანეთზე და აღწერილია საბოლოოდ შექმნილი ეკონომიკური გარემო.


მესამე თავში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ დასახული, მარეგულირებელი ღონისძიებები და მათი ანტიკრიზისული შესაძლებლობები. გაანალიზებულია რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო საქართველოში მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისკენ. ასევე შეფასებულია საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის პოლიტიკის შედეგები.

# თავი I. ეკონომიკური თეორიები კრიზისების შესახებ

## 1.1. ეკონომიკის ციკლური განვითარების არსი და კრიზისების თეორიები

ეკონომიკაში საქმიანი ციკლი შეიძლება აიხსნას, როგორც ეკონომიკური აქტივობის პერიოდული რყევები, ანუ ეკონომიკის აღმავლობის, გაფართოების, ვარდნის და გამოცოცხლების პროცესების თანმიმდევრული განმეორებადობა, თანმიმდევრული ცვლა. ეკონომიკური აქტივობისა და გამოშვების დროში ცვლილებას იკვლევს ეკონომიკური ციკლების თეორია. ეკონომიკის აღმასვლა და ვარდნა წარმოადგენს ეკონომიკაში თვითაღზუნებისა და თვითდამუხრუჭების პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ შემობრუნების წერტილებს შორის, რომლებშიც იგულისხმება ფსკერისა და მწვერვალის წერტილები. წარმოების ზრდა ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას, ხოლო შემოსავლების ზრდა - წარმოების ზრდას. ვარდნის დროს კი პირიქით არის, წარმოების შემცირება იწვევს შემოსავლების შემცირებას, ხოლო შემოსავლების შემცირება წარმოების შემცირებას. ეკონომიკური აღმასვლა და ეკონომიკური ვარდა თვითონ კვებავენ საკუთარ თავს შემობრუნების წერტილებამდე (იხ. გრაფიკი #1) [7. გვ. 198-209].

გრაფიკი #1



ეკონომიკის განვითარების ციკლურობის საკითხი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო და არის ეკონომისტების ყურადღების ცენტრში. მსოფლიო კრიზისებს იკვლევდნენ და იკვლევენ მსოფლიოს გამოჩენილი ეკონომისტები. ისინი ცდილობდნენ



ახსნათ მისი გამომწვევი მიზეზები და ამის საფუძველზე შეექმნათ თეორიები ეკონომიკის ციკლური განვითარების შესახებ. დღესდღეობით ეკონომიკის ციკლური განვითარება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მაღალ დონეზეა შესწავლილი, რადგან შექმნილია ამ თემის ირგვლივ უამრავი თეორია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეკონომიკური ციკლების შესახებ უამრავი ჰიპოთეზა, რომლებითაც ეკონომისტები ცდილობენ ახსნან ეკონომიკური საქმიანი ციკლების გამომწვევი მიზეზები, მაინც ბუნდოვანია ციკლის ბუნება. ეკონომისტებისათვის საკმაოდ რთულია ციკლის პროგნოზირება და რეგულირება. ამის მრავალი მიზეზი არსებობს:

- რთულია ეკონომიკის მიმართულების დინამიკაზე მოქმედი ყველა ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინება.
- ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაცია.
- ეკონომიკის მიმართულების დინამიკის სწორი შეფასების შემთხვევაშიც კი ძალიან რთულია ციკლის შემობრუნების წერტილების ზუსტი დროის პროგნოზირება.
- კომერციული ფირმების ქცევებმა შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს ეკონომიკური გარემო და ა.შ.

სწორედ ამიტომ ეკონომისტები აქტიურად იკვლევენ შემობრუნების წერტილებს. მწვერვალის არსებობის მიზეზი არის ის, რომ საზოგადოებას არ შეუძლია მეტის წარმოება, ხოლო ფსკერის არსებობა განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებას არ შეუძლია ნაკლების მოხმარება. ეკონომიკური ციკლის ფაზების შეცვლის ამ წერტილებში პროდუქტებისა და რესურსების ფასების შეფარდების ცვლილებები იწვევენ წარმოებისადმი მიდრეკილების და მოხმარებისადმი მიდრეკილების ცვლილებებს. საბაზრო ეკონომიკა ინერციით მოძრაობს ორ უკიდურესობას შორის და მას გაჩერება არ შეუძლია ერთ წერტილში.

თანამედროვე ეკონომიკა განიცდის მნიშვნელოვან მოკლევადიან გამოშვების და უმუშევრობის დონის რყევებს. გამოშვება და დასაქმებულთა დონე ერთდროულად ეცემა, ამ დროს იზრდება უმუშევრების დონე, სხვა შემთხვევაში გამოშვების და დასაქმებულთა

დონე იზრდება სწრაფად და მცირდება უმუშევრობის დონე. მოკლევადიანი რყევების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა მაკროეკონომიკის ცენტრალურ მიზანს წარმოადგენს, ამიტომ მაკროეკონომისტები აქტიურად იკვლევენ აღნიშნულს საკითხს, რათა ახსნან „საქმიანი ციკლების“ გამომწვევი მიზეზები.

რყევების შესახებ პირველი მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ მათი წარმოდგენა რეგულარული ან ციკლური მოდელების მეშვეობით ძალიან რთულია და ხშირ შემთხვევაშიც შეუძლებელია. გამოშვების დონის ცვლილება არ არის რეგულარული, რომლის მიზეზიც არის ის, რომ ეკონომიკა განიცდის სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ზომის დარღვევებს, რომლებსაც განსხვავებული შემთხვევითი ინტერვალები აქვთ ანუ ისინი ეკონომიკაში ქაოსურად არის გავრცელებულია. სხვადასხვა მაკროეკონომიკის სკოლებს გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრებები ბიზნეს ციკლების შესახებ. განსხვავებული მოსაზრებების გამომწვევი მიზეზებია მათი შეხედულებები შოკების საფუძვლებისა და გავრცელების მექანიზმების შესახებ.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი რყევების შესახებ ის არის, რომ ისინი ვრცელდება ძალიან არათანაბრად გამოშვების კომპონენტების გამო. რაც გულისხმობს იმას, როდესაც მთლიანი გამოშვება იზრდება ან მცირდება, მისი შემადგენელი კომპონენტები: მოხმარება, ინვესტიციები, წმინდა ექსპორტი და სახელმწიფო შესყიდვები იცვლება სხვადასხვა მიმართულებით, ანუ ეკონომიკურ ციკლებს ახასიათებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განსხვავებული მიმართულებით ცვლილება. ამის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი ტიპის ცვლადებს:

- პროციკლური ცვლადები - ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც ეკონომიკური აქტივობის მიმართულებით იცვლებიან. თუ ეკონომიკა აღმავლობის პერიოდშია აღნიშნული ტიპის ცვლადები იზრდებიან, ხოლო თუ ეკონომიკა დაღმავლობის პერიოდშია აღნიშნული ტიპის ცვლადები მცირდებიან.
- ანტიციკლური ცვლადები - ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც ეკონომიკური რყევების მიმართულების საწინააღმდეგოდ მოძრაობენ.

- აციკლური ცვლადები - ეკონომიკური ცვლადები, რომლებსაც არ ახასიათებს ეკონომიკური რყევების პერიოდში მკაფიო ცვლილებები.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტი ასიმეტრიების არსებობაა გამოშვების ცვლილების დროს. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ძალიან დაბალი ზრდის პერიოდებს უფრო სწრაფად მოჰყვება ძალიან მაღალი ზრდა, თუმცა ემპირიულად ამის საპირისპირო არ მტკიცდება.

მეოთხე მნიშვნელოვანი ფაქტი რყევების შესახებ გულისხმობს მასშტაბებს დროთა განმავლობაში. აშშ-ის მაკროეკონომიკური ისტორია 1800 წლიდან დღემდე შეიძლება დაიყოს ოთხ დიდ პერიოდად: დიდი დეპრესიის დაწყებამდე, დიდი დეპრესია და მეორე მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 1980-იან წლებამდე და 1980-იანი წლებიდან დღემდე. პირველ პერიოდში გამოშვების ცვლილება უმნიშვნელოდ დიდი და ნაკლებად მდგრადი იყო მეორე პერიოდთან შედარებით, მაგრამ რყევებს არ ახასიათებდათ მკვეთრი მერყეობები. ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე ჩანს, რომ გამოშვების დარგობრივი სტრუქტურა და სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში ამ ორ პერიოდში იყო განსხვავებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რყევების ხასიათს განსაზღვრავდა ისეთი ძალები, რომელთა შეცვლასაც გაცილებით ნაკლები დრო სჭირდებოდა ან მოხდა კომპლექსური ცვლილებები. რომლებმაც მოახდინეს მკვეთრი ზეგავლენა საერთო რყევებზე.[20. გვ. 189-193]

ეკონომისტები მშპ-ის და უმუშევრობის დონის მოკლევადიან რყევებს უწოდებენ ბიზნეს ციკლებს. ბიზნეს ციკლები არ არის რეგულარული და პროგნოზირებადი. მრავალი ეკონომისტი, რომელიც მუშაობს სახელმწიფო და კერძო სექტორში, დაკავებულია მოკლევადიანი რყევების შესაბამისი პროგნოზების აგებით. კერძო სექტორის ეკონომისტები მუშაობენ მოკლევადიანი რყევების პროგნოზირებაზე, რადგან დაეხმარონ კომპანიებს მომზადებული დახვდნენ ეკონომიკურ გარემოში მოსალოდნელ ცვლილებებს. საჯარო სექტორში მომუშავე ეკონომისტები მოკლევადიან რყევებს იკვლევენ ორი მიზეზით: პირველი არის ის, რომ ეკონომიკური გარემოს ცვლილება ზეგავლენას ახდენს მთავრობაზეც, მაგალითად საბიუჯეტო შემოსავლებზე. მეორე მიზეზი არის ის, რომ

მთავრობას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის საშუალებით, ამიტომ საჭიროა სწორი ეკონომიკური პროგნოზების აგება, რათა მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომისტებს სჭირდებათ ინდიკატორების, იმისათვის რომ გაიგონ ეკონომიკაში მიმდინარე რყევების შესახებ ინფორმაცია. ამ ინდიკატორებს წამყვან ინდიკატორებს უწოდებენ. ეკონომისტების პროგნოზები შეიძლება განსხვავებული იყოს, რადგან თითოეული მათგანი აგებულია ეკონომისტის ინდივიდუალურ შეხედულებებზე დაყრდნობით, ხოლო წამყვანი ინდიკატორები შედარებით ზოგადი და ყოვლისმომცველია. შესაბამისად არსებობს წამყვანი ინდიკატორების ინდექსი. აღნიშნული ინდექსი მოიცავს ათ ყველაზე ხშირად გამოყენებად მონაცემთა სერიას, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური აქტივობის მოკლევადიან პროგნოზირებისთვის. ეს პროგნოზი მოიცავს ექვსი თვიდან ცხრა თვემდე ვადას. ეს მონაცემთა სერიებია:

- **საშუალო ყოველკვირეული საათობრივი მწარმოებლურობა** - ეს მონაცემი გვიჩვენებს ერთი კვირის მანძილზე საშუალო საათობრივი მწარმოებლურობის დონეს, შესაბამისად გვაწვდის ინფორმაციას, ფირმაში შრომითი ნაკადების შესახებ, ანუ ერთი კვირის მანძილზე, რამდენი მუშა მიიღო და გაათავისუფლა ფირმამ.

- **უმუშევრობის დაზღვევის საშუალო ყოველკვირეული კონტრაქტების რაოდენობა** - მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც აფორმებს ახალ უმუშევრობის დაზღვევის ხელშეკრულებებს არის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომტანი შრომის ბაზრის პირობების შესახებ. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რომელიც აფორმებს ახალ უმუშევრობის დაზღვევის ხელშეკრულებებს გვიჩვენებს, რომ ფირმები უშვებენ მუშაკებს და ამცირებენ წარმოებას, რომელიც მოკლე დროში აისახება უმუშევრობისა და გამოშვების ცვლილებაში.

- **მწარმოებლების ახალი შეკვეთები სამომხმარებლო საქონელსა და მასალებზე** - ეს მონაცემი პირდაპირ ზომავს ფირმების მოთხოვნას სამომხმარებლო საქონელზე. აღნიშნული მონაცემის ზრდა გვაწვდის სიგნალს, რომ შემდგომში მოსალოდნელია წარმოების და დასაქმების დონის ზრდა.

- მწარმოებლების ახალი შეკვეთები არასამხედრო კაპიტალის საქონელზე, გარდა ავიაციისა - როდესაც ფირმები გაზრდიან მოთხოვნას გაიზრდება წარმოება და დასაქმება. საჭაერო ხომალდები გამორიცხულია, რადგან ისინი შეიცავენ მცირე ინფორმაციას ახლო ეკონომიკურ აქტივობების შესახებ.

- ISM ახალი შეკვეთების ინდექსი - ახალი შეკვეთების მესამე ინდიკატორი, რომელიც შემუშავებულია მიწოდების მენეჯმენტის ინსტიტუტის მიერ. ეს ინდიკატორი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

*ფირმები, რომლებიც იტყობინებიან ახალი შეკვეთების გაზრდას - ფირმები,  
რომლებიც იტყობინებიან ახალი შეკვეთების შემცირებას*

- ახალი კერძო ობიექტების მშენებლობის ნებართვები - ახალი მშენებლობები არის ინვესტიციების ნაწილი, რომელიც არის მშპ-ს განსაკუთრებით არასტაბილური კომპონენტი. მშენებლობების ნებართვების გაზრდა მიუთითებს მთლიანი ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

- საფონდო ფასების ინდექსი - საფონდო ბირჟა ასახავს მოლოდინებს მომავალი ეკონომიკური პირობების შესახებ, რადგან საფონდო ბირჟის ინვესტორები ფასებს ზრდიან, როდესაც ელოდებიან ფირმების რენტაბელურობის ზრდას. საფონდო ფასების ზრდა მიუთითებს, რომ ინვესტორები ელოდებიან ეკონომიკურ ზრდას, ხოლო საფონდო ფასების შემცირება მიუთითებს, რომ ინვესტორები ელოდებიან ეკონომიკურ შემცირებას.

- წამყვანი საკრედიტო ინდექსი - ეს კომპონენტი არის ექვსი ფინანსური ინდიკატორის კომპოზიცია, მაგალითად, როგორც არის ინვესტორების განწყობა, რომელიც დგინდება საფონდო ბაზრის კვლევის საფუძველზე, ასევე დაკრედიტების პირობების, რომელიც დგინდება ბანკების კრედიტ ოფიცრების კვლევის საფუძველზე. როდესაც საკრედიტო პირობებია უარესდება ბიზნესს და მომხმარებლებს უჭირთ საჭირო ფინანსების მოძიება შესყიდვების გასაკეთებლად. ამრიგად, საკრედიტო პირობების გაუარესება ამცირებს დანახარჯებს, წარმოებას და დასაქმებას. ეს ინდექსი დაემატა წამყვან ინდიკატორებს მას მერე რაც 2008-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა და

ღრმა რეცესიას მკვეთრად გაუსვა ხაზი კრედიტის მნიშვნელოვნებას ეკონომიკური აქტივობისთვის.

- **საპროცენტო განაკვეთის გაფართოება: 10 წლიან სახაზინო ობლიგაციების სარგებელს გამოკლებული ფედერალური ფონდების განაკვეთი** - ეს ინდიკატორი ასახავს ბაზრის მოლოდინს სამომავლო საპროცენტო განაკვეთების შესახებ, რაც თავის მხრივ აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საპროცენტო განაკვეთების დიდი გაფართოება ნიშნავს, რომ მოსალოდნელია მათი ზრდა, რაც ეკონომიკური აქტივობის გაძლიერების მაუწყებელია.

- **მომხმარებელთა მოლოდინები ბიზნესის და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ** - ეს მონაცემები გვაძლევს საშუალებას ზუსტად გაიზომოს მომხმარებელთა მოლოდინები. როდესაც ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ ზრდიან მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე, გაზრდის მოთხოვნის საპასუხოდ ფირმები ზრდიან წარმოებას და იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც.

წამყვანი ინდიკატორების ინდექსი, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ მოკლევადიანი რყევების ზუსტი პროგნოზი, რადგანაც მოკლევადიანი რყევები დიდწილად არაპროგნოზირებადი და არარეგულარულია. მიუხედავად ამისა, წამყვანი ინდექსი იყენებენ, როგორც საჯარო სექტორში, ასევე კერძო სექტორში მომუშავე ეკონომისტები. [18. გვ. 287-289]

ეკონომისტებისთვის, რომლებიც იკვლევენ ეკონომიკურ ციკლებს, მეტად მნიშვნელოვანია მათი საფუძვლების ცოდნა, ანუ რყევების გამომწვევი მიზეზების ახსნა. ეკონომიკური ციკლის გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაცია შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რადგან არსებობს მისი გამომწვევი მრავალი ფაქტორი. სწორედ ფაქტორთა სიუხვით არის განპირობებული ეკონომიკური ციკლების შესაბამისი მოდელის შედგენის სირთულე. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს ზუსტად ერთნაირი ციკლები. ეკონომიკურ ციკლებს შეიძლება ჰქონდეს მსგავსი ან საერთოდ ნიშნები, თუმცა ყველა მათგანი განსხვავებული და უნიკალურია. სწორედ აღნიშნული

განაპირობებს, რომ ეკონომიკური ციკლების, როგორც მოვლენის სირთულეს. ყველა ეკონომიკურ ციკლს ახასიათებს აღმავლობა და დაცემა, მაგრამ არსებობს ამ ფაზების გამომწვევ მიზეზთა საკმაოდ რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ დიდი ზეგავლენა მოახდინონ თითოეული ეკონომიკური ფაზის ხანგრძლივობასა და სიძლიერეზე.

ეკონომისტი არტურ ბარნში გვთავაზობს საქმიანი ციკლების გამომწვევ ორი ტიპის მიზეზებს. ესენია: შიდა ფაქტორები და გარე ფაქტორები.

#### **შიდა ფაქტორები:**

- პირადი მოხმარების სიდიდის ცვლილება
- კაპიტალდაბანდება (საწარმოო პროცესის განვითარება და დამატებითი სამუშაო

ადგილების შექმნა)

- ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებაზე მოქმედი მაკროეკონომიკური პოლიტიკა

#### **გარე ფაქტორები:**

- პოლიტიკური ფაქტორები
- შეზღუდული და ძვირადღირებული რესურსების მარაგების აღმოჩენა
- ახალი ტერიტორიების ათვისება
- მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება
- მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი [27.]

ასევე არსებობს სხვა თეორიები, ცდილობენ დაასახელონ საქმიანი ციკლების გამომწვევი მიზეზები. ეკონომიკური ციკლების გამომწვევ მიზეზებს მეცნიერები განსხვავებული თვალთ უყურებენ. მაგალითად მარქსისა და ენგელსის აზრით ეკონომიკური ციკლი მიზეზი არის სამეწარმეო კაპიტალის სიჭარბე, იოზეფ შუმპეტერის აზრით ეკონომიკური ციკლების გამომწვევი მიზეზი არის ტექნოლოგიური ტალღები, მილტონ ფრიდმანის აზრით კი ეკონომიკურ ციკლებს ფულის მასის პერიოდული გაფართოება და შემცირება, ივინგ ფიშერის აზრით კი ეკონომიკის ციკლურობის მთავარი მიზეზი არის ფულზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის დარღვევა.

ეკონომიკური ციკლების გამომწვევი ფაქტორები ასევე შეიძლება დაიყოს ექსტერნალურ და ინტერნალურ ფაქტორებად:

- ექსტერნალური კონცეფციის მიხედვით, საქმიან ციკლებს იწვევს ეგზოგენური ფაქტორები, ანუ ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკის მიღმა არის. ექსტერნალური ფაქტორებია:

- ✓ **ომი** - ომის დროს ყველა ხელმისაწვდომი რესურსი მიმართულია იარაღის საწარმოებლად, რაც დიდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს კაპიტალური და სამომხმარებლო საქონლის წარმოებაზე. ეს უარყოფითი ზეგავლენა ასევე აისახება შემოსავლებში და ფირმების მოგების შემცირებაში, რაც რასაკვირველია გაზრდის უმუშევრობის დონეს. ზემოთ აღნიშნული პროცესი კი ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს და ეკონომიკა განიცდის დეპრესიას.

- ✓ **ომის შემდგომი პერიოდი** - ომის შემდგომ პერიოდში მოხმარების და ინვესტიციების დონე ერთად იზრდება. როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორი ახორციელებს კაპიტალდაბანდებას. მსგავსი ტიპის ეკონომიკურ აქტივობას აქვს ორმაგი ეფექტი, ის ზრდი ისეთ ეკონომიკურ ცვლადებს როგორებიც არის: გამოშვება, შემოსავლები და დასაქმება.

- ✓ **მეცნიერების განვითარება** - ბიზნეს ციკლების გამომწვევი კიდევ ერთი მიზეზი მეცნიერების განვითარება არის. ყოველდღიურად ახალი პროდუქტები ემატება ბაზარს, როგორც არის: მობილური ტელეფონები, პლანშეტები, სმარტფონები და ა.შ. აღნიშნული პროდუქცია მოითხოვს დიდი რაოდენობით ინვესტიციებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ახალი ტექნოლოგიების წარმოება. ეს ყველაფერი კი ზრდის შემოსავალს, დასაქმებას და მოგებად. ანუ მეცნიერების განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის აღორძინებაში.

- ✓ **ოქროს აღმოჩენა** - ის ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას და ხელს უწყობს სავაჭრო დეფიციტის შემცირებას, რაც ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას და ეკონომიკის გაფართოებას.

- ✓ **სიჭარბე, ექსპორტი და უცხოური დახმარება** - აღნიშნული ზრდის მოხმარებისა და ინვესტირების დონეს, რაც აფართოებს წარმოებას, შემოსავლებს და ამცირებს უმუშევრობის დონეს.



✓ **ამინდი** - ამინდი ბიზნეს ციკლების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. მან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური აქტივობის ცვლილება. თუ რომელიმე წელს კარგი ამინდია სოფლის მეურნეობის სფერო იზრდება მაღალი ტემპით.

✓ **მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი** - ის ბიზნეს ციკლის გამომწვევი ერთ ერთი მიზეზია. თუ მოსახლეობის ზრდის ტემპი უფრო მაღალია ვიდრე ეკონომიკური ზრდის ტემპი, მაშინ შემოსავლების, მოხმარებისა და დანაზოგების დონე მცირდება.

• ინტერნალური თეორიები ხსნიან ეკონომიკური ციკლებს ენდოგენური ცვლადების გამოყენებით, ანუ იმ ფაქტორების გამოყენებით რომელიც ეკონომიკის შიგნით არსებობს. ინტერნალური ფაქტორებია:

✓ **ფსიქოლოგიური ფაქტორები** - მეწარმეების ოპტიმისტური და პესიმისტური შეხედულებები განაპირობებს ბიზნეს ციკლებს. როდესაც მეწარმეები ოპტიმისტურად უყურებენ ბაზრების განვითარებას ისინი ზრდიან ინვესტიციებს, რის შედეგადაც იზრდება გამოშვება, შემოსავლები და დასაქმების დონე. ხოლო როდესაც ისინი მომავლისადმი პესიმისტურად არიან განწყობილნი ამცირებენ ინვესტიციებს, რაც უარყოფითად აისახება გამოშვებაზე შემოსავლებსა და დასაქმების დონეზე.


✓ **ფულის მიწოდება** - ფულის და საკრედიტო პროდუქტების მიწოდება ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ რყევებზე. ფულისა და საკრედიტო პროდუქტების მიწოდების გაფართოების შემთხვევაში იზრდება ეკონომიკური აქტივობა, რადგან ფინანსური რესურსები ხდება მეტად ხელმისაწვდომი, ხოლო როცა მათი მიწოდება მცირდება ეკონომიკური აქტივობაც მცირდება.

✓ **გადაჭარბებული ინვესტიციები** - გადაჭარბებული ინვესტიციები ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკურ ციკლებზე. გადაჭარბებული ინვესტიციები კაპიტალურ საქონელში ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური რყევების გამომწვევი მიზეზი ხდება.

✓ **კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა (MEC)** - კეინზის აზრით, კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ბიზნეს ციკლებზე. როდესაც MEC იზრდება ეკონომიკური ციკლი გაფართოების ფაზაში გადადის, ხოლო როდესაც

ეკონომიკური ციკლი შემცირების ფაზაშია კაპიტალის ზღრული ეფექტიანობის დონე დაბალია. [6. გვ. 16-19]

ბიზნეს ციკლებს ახასიათებთ ხუთი ფაზა: გაფართოება, ზუმი, რეცესია, დეპრესია და გამოცოცხლება. გაფართოებას ახასიათებს შემოსავლების, წარმოების დონის და დასაქმების დონის ზრდა. აღნიშნული ზრდა აღწევს მწვერვალამდე ანუ გარკვეულ უმაღლეს წერტილამდე, სადაც გამოშვების დონე, შემოსავლები და დასაქმების დონე არის მაქსიმალური. ეს არის ის წერტილი, რომელშიც ეკონომიკა უკვე იწყებს მოძრაობას საპირისპირო მიმართულებით. ამ პერიოდს ეწოდება რეცესია ანუ როდესაც მცირდება წარმოება, შემოსავლები და დასაქმების დონე. აღნიშნული პერიოდიც ასევე აღწევს ექსტრემუმის წერტილამდე ანუ ფსკერამდე, რომლის დროსაც გამოშვება, შემოსავლები და დასაქმების დონე არის მინიმალურ ზღვარზე, სწორედ ამ წერტილზე ისევ იწყება გაფართოება და ა.შ. [4. გვ. 1-4].



განვიხილოთ უფრო დეტალურად ეკონომიკური ციკლის თითოეული ფაზა:

**გაფართოება** - როდესაც ეკონომიკის მაჩვენებლები გაფართოების ფაზაშია, მაშინ იზრდება გამოშვება, შემოსავლები, საპროცენტო განაკვეთები, დასაქმების დონე, მთლიანი მოთხოვნა, იზრდება მოგება, გაყიდვების დონე, მშპ ერთ სულ მოსახლეზე და ცხოვრების დონე. ეკონომიკური ციკლის ამ ფაზაში არსებობს ბუნებრივი უმუშევრობის დონე. ასე რომ, აღნიშნულ ფაზაში მეკ-ს პოტენციური და ფაქტობრივი დონეები არის ერთმანეთის ტოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების დონე არის მაქსიმალური. კეთილდღეობის ფაზაში არის მარალი ეფექტური მოთხოვნის დონე, შემოსავლები მაქსიმალურია და ასევე მაქსიმალურია დასაქმების დონე. წარმოება და პროდუქტის ფასები ერთნაირად იზრდება. დებიტორების კარგ ფინანსურ მდგომარეობაში არიან რადგან იზრდება საპროცენტო განაკვეთები, კრედიტორები კი სარგებლობენ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, რაც იწვევს ფულადი ნაკადების ზრდას. იზრდება საინვესტიციო შესაძლებლობები, რის გამოც იზრდება ფულადი ნაკადების მოძრაობა. გაფართოება გაგრძელდება მანამდე, სანამ ეკონომიკური პირობები იქნება ხელსაყრელი.

**ბუმი** - საბოლოოდ გაფართოების ფაზა აღწევს პიკის წერტილამდე, მწვერვალამდე და შემდგომ იწყებს ქვესვლას. პიკის ფაზაში ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური მაჩვენებლები ყველაზე მაღალია, მაგრამ მათი შემდგომი ზრდა აღარ მოხდება. ამ ფაზაში ეკონომიკა შედის ფასების ზრდის გამო, რაც იწვევს სხვადასხვა პროდუქტზე მოთხოვნის ეტაპობრივ შემცირებას. პროდუქციის ფასების ზრდა მაშინ როდესაც შემოსავალი არის ფიქსირებული იწვევს მომხმარებლების ყოველთვიური ბიუჯეტის რესტრუქტურირებას. შედეგად მოთხოვნა ისეთ პროდუქტებზე როგორც არის სამკაულები, სახლები, ავტომობილები, ტექნიკა იწყებს დაცემას.

**რეცესია** - როგორც ზემოთ აღნიშნა ფასების ზრდის გამო ეკონომიკაში სხვადასხვა პროდუქტებზე მოთხოვნა თანდათან მცირდება. როდესაც პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების დონე ხდება სწრაფი და სტაბილური, მაშინ იწყება რეცესიის ფაზა.

რეცესიის ფაზაში, ყველა ეკონომიკური ფაქტორი, როგორც არის წარმოება, ფასების დონე, დაზოგვის დონე, ინვესტიციები და ა.შ იწყებს შემცირებას. მწარმოებლებმა ამ დროს არ იციან პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების შესახებ და

ინარჩუნებენ საქონლისა და მომსახურების წარმოების დონეს. ამ დროს პროდუქციის მიწოდება აჭარბებს პროდუქციაზე მოთხოვნას. დროთა განმავლობაში მწარმოებლები მიხვდებიან, რომ მიწოდების სიჭარბის გამო მომგებიანობა მცირდება. ამ მდგომარეობაში აღმოჩნდება ეკონომიკის ერთი სექტორი, რომელიც შემდგომ მთელ ეკონომიკაზე გავრცელდება. ეს მდგომარეობა ბაზარზე მცირედ რყევების სახით აისახება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მწარმოებლები აკორექტირებენ მიწოდებას, ანუ ამცირებენ მას. მცირდება ინვესტიციები, როგორც კაპიტალში, ასევე სამუშაო ძალაში. ეს იწვევს ეკონომიკური ფაქტორების შემცირებას.

**დეპრესია** - ამ ეტაპზე ეკონომიკური საქმიანობა არის ბუნებრივ დონეზე დაბლა, ხოლო ეკონომიკის ზრდის ტემპი არის ნეგატიური. გარდა ამისა, ეტაპობრივად მცირდება ეროვნული შემოსავალი და დანახარჯები. ამ ეტაპზე რთულია დებიტორების დავალიანების დაფარვა, შედეგად მცირდება საპროცენტო განაკვეთები და ბანკები ნაკლებ სესხებს გასცემენ, შესაბამისად იზრდება ბანკების ფულადი ნაშთები. ასევე ეკონომიკაში წარმოების დონე დაბალია და უმუშევრობის დონე მაღალია. ინვესტორები არის ახორციელებენ კაპიტალდაბანდებებს საფონდო ბირჟაზე. ბევრი სუსტი ორგანიზაცია კოტრდება და ან დროებით წყვეტს კომერციულ საქმიანობას. მინიმუმამდე ქვეითდება ეკონომიკური აქტივობა.

**გამოცოცხლება** - მას შემდეგ რაც ეკონომიკა მიაღწევს თავისი შესაძლებლობების ყველაზე დაბალ წერტილს, ამ დროს სრულდება პესიმიზმი და იწყება ოპტიმიზმი. ეს გამოიწვევს ბიზნეს ციკლის მიმართულების შეცვლას. შედეგად ეკონომიკური აგენტებს უჩნდებათ ეკონომიკური მომავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და ეკონომიკური ცვლადებიც იწყებს ზრდას. ორგანიზაციები იწყებენ მუშაკების დასაქმებას შეზღუდული რაოდენობის. ამ ეტაპზე მუშაკთა ხელფასი დაბალია მათ უნარებთან და შესაძლებლობებთან შედარებით. სწორედ ეს არის გამოცოცხლების ეტაპის დასაწყისი. ამ ფაზაში მომხმარებლები იფიქრებენ, რომ პროდუქციის ფასები აღარ შემცირდება და გაზრდიან მოთხოვნას. გარდა ამისა, ბანკებიც იწყებენ გაზრდილი ფულადი ნაშთების გამოყენებას და კომპანიებიც ახორციელებენ ინვესტირებას საფონდო ბირჟაზე.

ფასების მექანიზმი მეტად მნიშვნელოვანია გამოცოცხლების ეტაპზე. საწარმოო ფაქტორებზე ფასების შემცირება მეტია ვიდრე საბოლოო პროდუქტებზე ფასების შემცირება შედეგად მეწარმეები მაინც იღებენ გარკვეულ მოგებას, რაც სამომავლოდ გაიზრდება. შედეგად ორგანიზაციის მიერ იზრდება კაპიტალდაბანდებები და დასაქმებულთა რიცხვი. ეს პროცესი აძლევს ეკონომიკურ აქტივობას დადებით იმპულსს და ეკონომიკა შემდგომ ისევ შედის გაფართოების ფაზაში, ანუ ბიზნეს ციკლი დასრულდა [13].

**კეინზიანური თეორიები ეკონომიკური კრიზისების შესახებ** - ჯ. მ. კეინზს თავის ნაშრომში „დასაქმების პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ საუბარი აქვს, ასევე ეკონომიკურ კრიზისებზე, მათ გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე. მისი ნაშრომი გამოვიდა 1936 წელს. აშშ-ში 1929-1933 წლებში მძვინვარებდა მძიმე კრიზისი, რომელიც დიდი დეპრესიის სახელით არის ცნობილი. აღნიშული ნაშრომი აღმოჩნდა სწორედ ამ მწვავე კრიზისზე რეაქცია. კრიზისმა ექვექვე დააყენა კლასიკოსების შეხედულებები, რომ ბაზარი თვითრეგულირდება. მან ასევე მთლიანად ექვექვე დააყენა კაპიტალისტური სისტემის არსებობა, რადგან როგორც კრიზისმა ცხადყო ძველი ტრადიციული მეთოდებით შეუძლებელი იყო ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა. ძველი ტრადიციული მეთოდების ქვეშ იგულისხმება, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებაში არ უნდა ჩარეულიყო მთავრობა, რადგან ეს მხოლოდ სიტუაციას გააუარესებდა და ეკონომიკა იმართებოდა უხილავი ხელის საშუალებით, რომელსაც წონასწორობაში მოჰყავდა ბაზრები. სწორედ კეინზის მიერ შექმნილ თეორიაზე დაყრდნობით შეძლო აშშ-ს პრეზიდენტმა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელმაც ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანა. კეინზის აზრით კრიზისის ახსნა ხშირ შემთხვევაში უნდა ვეძებოთ არა პროცენტის ზრდაში, არამედ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის უეცარ ვარდნაში. საპროცენტო განაკვეთის შემცირება, ანუ კრედიტის გაიაფება ხელს უწყობს ეკონომიკის გამოცოცხლებას, მაგრამ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის ვარდნა შეიძლება იმდენად ღრმა აღმოჩნდეს, რომ იგი კრიზისის დასადლევადა საკმარისი აღარ იყოს [9. გვ. 10-19].

ეკონომიკურ ციკლებს კეინზის მიმდევრები ხსნიან ფასების მოუქნელობით. კეინზიანური ეკონომიკური სკოლის განხილვისას აუცილებლად განასხვავებენ ციკლების შესახებ ძველ და ახალ მოდელებს. ძველი კეინზიანური მოდელები როგორც ეგზოგენური, ასევე ენდოგენურია. ძველი მოდელების მიხედვით, ძირითადად, ხდებოდა ეკონომიკური ციკლების ბუნების კვლევა. ეგზოგენური მოდელების მიხედვით რყევების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ეგზოგენურ შოკებზე ან შეზღუდვებზე. ენდოგენურ მოდელებში კი მდგრადი რყევების გენერირება თვით მოდელის ბუნებით ხდება. ახალი კეინზიანური მოდელები კი ძირითადად ციკლურობის ამოსავალი ჰიპოთეზის დასაბუთებას ეძღვნება. ახალ კეინზიანურ მოდელებში შესაძლებელია გამოვყოთ ორი ტიპის მოძღვრება. პირველი ახალი კეინზიანური მაკროეკონომიკაა, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ შეზღუდვებს და მათ ზემოქმედებას საბაზრო პროცესების ფუნქციონირებაზე, მეორე მოძღვრება იკვლევს არასრულყოფილი კონკურენციის ზემოქმედების შედეგებს [12. გვ. 6-7].

**ნეოკლასიკური თეორიები ეკონომიკური კრიზისების შესახებ** - ეკონომიკური ციკლების ნეოკლასიკური თეორია კეინზიანურის მსგავსად იყოფა ძველ და ახალ თეორიებად. ძველი თეორიები ეყრდნობა მილტონ ფრიდმანის კონცეფციებს. მისი აზრით ეკონომიკური ციკლები წარმოიშობა ეგზოგენური ფულადი შოკების შედეგად, რომლებიც არის მცდარი მოლოდენებით გამოწვეული. მან ფულის რაოდენობრივი თეორიის საკუთარ განმარტებაზე დაყრდნობით განავითარა ეკონომიკური ციკლების თეორიები. ეკონომიკური ციკლების შესახებ ახალ თეორიები ასახულია ახალ კლასიკურ მაკროეკონომიკაში. ის ყურადღებას ამახვილებს საბაზრო მექანიზმის ოპტიმალურად ფუნქციონირების მიღწევის პრობლემაზე. ახალი კლასიკური მაკროეკონომიკის თეორიები ასევე იყოფა ეგზოგენურ და ენდოგენურ თეორიებად. ეგზოგენური თეორიები მოიცავს ციკლურობის წონასწორულ თეორიას და რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიას. ენდოგენურ თეორიას კი განეკუთვნება ჭეშმარიტი დინამიკების, ბიფურკაციისა, ქაოსის და მზის ლაქების კონცეფცია.

არსებობს განსხვავებები ნეოკლასიკურ ახალ და ძველ მოდელებს შორის. ძველ მოდელებში შრომის მიწოდება უცვლელ სიდიდედ ითვლებოდა. ახალი კლასიკური

მაკროეკონომიკური სკოლა კი ვარაუდობს, რომ შრომის მიწოდება იცვლება დროში და განისაზღვრება მუშაკთა მოტივაციით. ახალი კლასიკური მაკროეკონომიკური სკოლის მიმდევრების აზრით, შრომის ანაზღაურება და მუშაკთა მოტივაცია ერთმანეთის მიმართ დადებით დამოკიდებულებაშია. ანაზღაურების ზრდა იწვევს მუშაკთა მოტივაციის ზრდას, ხოლო თუკი ანაზღაურება მცირდება გარკვეულ დონეზე დაბლა, შესაძლოა მუშაკებმა მოტივაცია საერთოდ დაკარგონ და უარი განაცხადონ მუშაობაზე. სწორედ ამ მიზეზით არის განპირობებული შრომის მიწოდების დროთაშორისი შენაცვლების ეფექტი, რაც გულისხმობს ინდივიდის დასაქმების პერიოდების მონაცვლეობას ნებაყოფლობითი უმუშევრობის პერიოდებით.

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია ემყარება ფასების აბსოლიტურ მოქნილობას, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში და კლასიკური დიქტომიის შესახებ ვარაუდს. სიტყვა „რეალური“ მოცემული თეორიის დასახელებაში აღნიშნავს, რომ აღნიშნული თეორია არ განიხილავს ნომინალურ სიდიდეებს ეკონომიკური რყევების მიზეზებად, მას ციკლების ახსნა დაჰყავს ეკონომიკაში არსებულ რეალურ ძვრებამდე [12. გვ. 15-21].

ზოგადად ნეოკლასიკურ ნაშრომებში შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური ციკლების ამხსნელი სამი ძირითადი სახის თეორიები.

**პირველი თეორია** - მის თანახმად ციკლური აღმავლობები და დაცემები შეიძლება დაკავშირებული იყოს კაპიტალდაბანდებების ციკლთან. დროის რაღაც პერიოდში ინვესტირების პროცესი თავის თავს აძლიერებს. მოთხოვნის ზრდა აძლევს სტიმულს მწარმოებლებს ინვესტიციების ზრდისკენ. ინვესტიციების ზრდა აისახება ეკონომიკურ ზრდაში, რაც ზრდის დასაქმებას და ამცირებს უმუშევრობას. სწორედ აღნიშნული შეესაბამება ციკლის აღმავლობის ფაზას. თუმცა შემდგომ დგება მომენტი, როდესაც გაზრდილი ინვესტიცია და წარმოება გადააჭარბებს მოთხოვნას, რაც იწვევს ციკლის დაღმავალი ფაზის დაწყებას.

**მეორე თეორია** - ის უკავშირდება ინოვაციების ტალღებს. აღნიშნული თეორიის ფუძემდებელია იოზეფ შუმპეტერი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიკური

განვითარების და ეკონომიკური ციკლების კვლევაში. შუმპეტერი ციკლების წარმოშობის გამომწვევ მიზეზად მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს ასახელებდა მან წარმოადგინა მთლიანი თეორია, სადაც გაერთიანებული ჰქონდა სხვადასხვა სახის ციკლები და შეეცადა დაესაბუთებინა მათ შორის კავშირები. მან ერთად განიხილა კონდრატიევის, კიტჩის და ჟიუგლარის ციკლები, რითიც მან მიიღო „სამციკლიანი ციკლის კონცეფცია“. შუმპეტერი მივიდა დასკვნამდე, რომ გრძელვადიანი ციკლები მოიცავენ მოკლევადიან და საშუალოვადიან ციკლებს, სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებენ, რაც არის ეკონომიკის განვითარების დინამიკის განსხვავებული სურათის საფუძველი. შუმპეტერი ერთმანეთისგან განასხვავებს სხვადასხვა ხანგრძლივობის სამ ციკლს ესენია: გრძელ ვადიანი ციკლები, ანუ 60 წლიანი, საშუალო ვადიანი ციკლები ანუ 10 წლიანი ციკლები და ბოლოს მოკლე ვადიანი ციკლები, ანუ 3,5 წლიანი ციკლები. იგი აღნიშნავდა, რომ კონიუნქტურული მერყეობები კაპიტალიზმის შემადგენელი განუყოფელი ნაწილია, რომელთა მექანიზმის სიხშირე და ხანგრძლივობა ვრცელ ანალიზს მოითხოვს.

**მესამე თეორია** - მის მიხედვით მონეტარისტები ციკლების წარმოშობას ფულის მასის გაზრდასა და შემცირებას უკავშირებენ. აღნიშნული მოსაზრების პოპულარიზაცია გამოწვია ფულადი სექტორის როლის ზრდამ, შესაბამისად მისი ზეგავლენის ზრდამ ეკონომიკაზე [6. გვ. 13-14].

**ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია** - ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ნიკოლაი კონდრატიევმა 1926 წელს წამოაყენა თეზისი კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი ციკლების შესახებ. ეკონომიკური ციკლების კვლევის მეთოდოლოგიაში მან მოახერხა თეორიული და ემპირიული მიდგომების ინტეგრირება და ძალიან ფართო მოცულობის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეიმუშავა დიდი ციკლების კონცეფცია. ამ თეორიის თანახმად ყოველ ციკლს ტალღის ორი ფაზა გააჩნია, ესენია აღმავალი და დაღმავალი. იმ დროისათვის მან დააფიქსირა ორი სრულფასოვანი ციკლი და მესამე ციკლის ნახევარი. კონდრატიევმა



გააფრთხილა საზოგადოება, რომ ეკონომიკა იმყოფებოდა ციკლის დადმავალ ფაზაში, რითიც ფაქტიურად იწინასწარმეტყველა აშშ-ს დიდი დეპრესია.

კონდრატიევი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორია იცნობს მხოლოდ 7-11 წლიან ციკლებს, რეალურად კი ასევე არსებობს სხვა ციკლებიც, რომელთა ხანგრძლივობას 48-55 წელია. მისი აზრით, სწორედ ეს არის დიდი ეკონომიკური ციკლები. კონდრატიევი წერს: „ეკონომიკური კონიუნქტურის დინამიკა უცვლელია, რიტმულია. მაღალი კონიუნქტურის პერიოდები მისი მეტად ან ნაკლებად დაქვეითების პერიოდებით იცვლება. ამგვარი მერყეობების ორი მთავარი ციკლი შეიძლება გამოვყოთ: „დიდი ციკლები, რომლებიც დაახლოებით 50 წელს მოიცავს და სამრეწველო-კაპიტალისტური ციკლები დაახლოებით 8-11 წლის ხანგრძლივობით“. ასევე აღსანიშნავია, რომ მეცნიერის აზრით, აღნიშნული ორი სახეობის ციკლები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

კონდრატიევი მივიდა დასკვნამდე, რომ დიდი ეკონომიკური ციკლების აღმავალ ტალღაზე მოკლე და საშუალო კაპიტალისტური ციკლები ხასიათდება დეპრესიის მოკლევადიანობით და აღმავლობის ინტენსიურობით. ხოლო დადმავალ ფაზაზე კი საპირისპირო სურათთან გვაქვს საქმე. პატარა ციკლების აღმავლობა დიდი ციკლის დადმავალ ფაზაზე მოკლებული იქნება ინტენსიურობას. კრიზისები ამ დროს უფრო მკვეთრია და პატარა ციკლების დეპრესიების ხანგრძლივობა იზრდება. მან დაასაბუთა, რომ კონიუნქტურის დიდი ციკლების მატერიალური საფუძველი მდგომარეობს კაპიტალური დოვლათის მასობრივ განახლებაში, რომელიც საჭიროებს ინვესტიციების მაღალ ტემპებსა და კაპიტალის კონცენტრაციას. იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ ტექნიკურ-პროგრესს, თუმცა პროგრესი უსარგებლოა მისი გამოყენებისთვის საჭირო პირობების გარეშე [9. გვ. 116-124].

კონიუნქტურის დიდ ციკლებს კონდრატიევი რეალობასთან კავშირში იკვლევდა. ის აკვირდებოდა სხვადასხვა მაჩვენებლებს, როგორც არის: საქონელზე ფასები, რენტა, სარგებლის განაკვეთი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა და ასე შემდეგ. ის მხოლოდ ტენდენციებზე საუბრობდა და მიაჩნდა, რომ ეკონომიკასა და სოციოლოგიაში

ერთმნიშვნელოვანი კანონზომიერებებისა და მათემატიკური მოდელებზე მორგებული ზუსტი რიტმების არსებობა შეუძლებელია, რადგან აღნიშნული დინამიკა მრავალფაქტორიანია და აღსავსეა მერყეობებით.

კონდრატიევის მიმდევრების აზრით, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე აღმავლობისა და დაღმავლობის პროცესები ჯდება კონდრატიევის ციკლებში ანუ K-ციკლებში. ამ თეორიის მიხედვით ყოველი ახალი ციკლი იწყება გლობალური აღმოჩენით, ეპოქალური მნიშვნელობის ინოვაციებით, რომელიც რადიკალურად ცვლის წარმოების და მოხმარების სტრუქტურას, რადგან ქმნის თვისობრივად ახალი ტიპის საქონელსა და მომსახურებას.

კონდრატიევის ციკლების თეორიის თანახმად მე-18 საუკუნიდან დღემდე ხუთ ციკლს ჰქონდა ადგილი:

- პირველი ციკლის აღმავალი ტალღა მოდის 1780-1790 წლებზე. პიკი 1810-1817 წლებზე, ხოლო დაღმავალი ტალღა 1844-1851 წლებზე.
- მეორე ციკლის აღმავალი ტალღა გრძელდება 1870-1895 წლებამდე და დაღმავალი ტალღა 1890-1896 წლებამდე გრძელდება.
- მესამე ციკლის აღმავალი ტალღა გრძელდება 1914-1920 წლებამდე და დაღმავალი ტალღა 1936-1940 წლებამდე გრძელდება.
- მეოთხე ციკლის აღმავალი ტალღა გრძელდება 1966-1971 წლებამდე და დაღმავალი ფაზა 1980-1985 წლებამდე.
- მეხუთე ციკლის აღმავალი ფაზა გრძელდება 2000-2007 წლებამდე და დაღმავალი ფაზა პროგნოზების თანახმად გაგრძელდება 2015-2025 წლებამდე, ანუ მეექვსე ციკლის აღმავლობის ტალღას მოსალოდნელია 2015 წლიდან.

აღნიშნული ციკლები კონდრატიევის თეორიაზე დაყრდნობით მისმა მიმდევრებმა შეადგინეს.

ძალზედ მნიშვნელოვანია კონდრატიევის მიმდევრების მიერ ეკონომიკური ციკლის დაღმავალი ფაზის აღწერა. მათი აზრით, ამ დროს იწყება საერთო ციებ-ცხელება, იმასთან დაკავშირებით, თუ სად მოხდეს კაპიტალის ნაკადების მიმართვა, რათა მიიღონ მაღალი

უკუგება. ასეთი ადგილია ფიქტიური კაპიტალის ბაზრები, რაც ფინანსური ბუშტების წყაროა. სწორედ ასეთი სურათი გვხვდება მესამე, მეოთხე და მეხუთე ცილების დაღმავლობის ფაზაში [1].

## 1.2. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები

საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მართალია მან შესაძლებელი გახადა ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და განვითარების დაჩქარება, მაგრამ ასევე შესაძლებლობა მისცა კრიზისებს, რომ სწრაფად გავრცელებულიყვნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. მსოფლიო რეცესია, რომელიც დაიწყო 2008 წელს გამოწვეული იყო 2007 წლის ფინანსური კრიზისით. კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან, რომელიც გავრცელდა სხვა ქვეყნებზეც [8. გვ. 18-19].

ფინანსურ კრიზისის მახასიათებელია გაცვლითი კურსის კრიზისები, სავალო კრიზისები და საბანკო კრიზისები, ან ამ სამიდან რაიმე კომბინაცია. სავალუტო კურსები, ვალები და ბანკები აღმოჩნდნენ ბოლო დროინდელ ფინანსურ კრიზისში სუსტი წერტილები, რადგან სწორედ აღნიშნული ცვლადები უზრუნველყოფენ კრიზისის გავრცელებას ერთი ქვეყნიდან მეორეში. მოკლედ განვიხილოთ ისინი.

- **საბანკო კრიზისი** - გულისხმობს, ბანკი კარგავს ფინანსური შუამავლის ფუნქციას და ქვეყანაში არსებულ ბანკებს ემუქრება გადახდისუუნარობა. ანუ ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები აერთიანებენ დანაზოგებს, რომელსაც შემდგომ აბანდებენ ბიზნესში. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლები გაკოტრდებიან ისინი სესხებს ვერ გადაიხდიან და შესაბამისად ბანკებიც ვერ გადაუხდიან თავის მენაბრეებს ვალებს. რაც არის სერიოზული ეკონომიკური პრობლემა უარყოფითი ეკონომიკური შედეგებით. შესაბამისად, მენაბრეები, რომლებიც კარგავენ დანაზოგებს ამცირებენ მოხმარებას, ხოლო ბანკები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეხებიათ კრიზისი ერიდებიან სესხის გაცემას. ეკონომიკაში ვრცელდება კრიზისი სპირალისებურად, რომელიც ნელ-ნელა ზრდის რეცესიის უარყოფით შედეგებს.

- **გაცვლითი კურსის კრიზისი** - გამოწვეულია ეროვნული ეკონომიკის ვალუტის ღირებულების უეცარი და მკვეთრი გაუფასურებით. კრიზისი შეიძლება მოხდეს

ნებისმიერი სავალუტო რეჟიმის დროს. ისიც საბანკო სისტემის კრიზისის მსგავსად იწვევს ღრმა რეცესიას. მისი გავრცელების არხებს წარმოადგენს ბანკები.

- **სავალო კრიზისი** - იწყება მაშინ, როდესაც მოვალეებს არ შეუძლიათ ვალების გადახდა და მოსალოდნელია ვალების რესტრუქტურირაცია.

კრიზისი არის მოვლენათა, პროცესთა განვითარებაში მკვეთრი გარდატეხა, რთული მდგომარეობა, მძიმე სიტუაცია. კრიზისების კვლევის ჰოლანდიური სკოლა მას განმარტავს შემდეგნაირად: „საზოგადოებრივი სისტემის საბაზისო ფასეულობების და ნორმების, ან მისი მისი ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე, რომელიც წარმოშობს კარდინალური გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას შეზღუდული დროსა და მაღალი ხარისხის გაურკვევლობის პირობებში“. ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პოსტულატებს:

- კრიზისებისათვის დამახასიათებელია გაურკვევლობა, რასაც თან ახლავს ინფორმაციის შეზღუდულობა. საზოგადოება პოსტკრიზისულ პერიოდში დგას გზაჯვარედინზე. მას შეუძლია იმოდროს განვითარებისკენ, პროგრესისკენ, ან გადაგვარებისა და დესტრუქციისკენ.

- კრიზისისთვის ასევე დამახასიათებელია მოულოდნელობა. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მწირი ინფორმაცია ან პირიქით ინფორმაციული სიჭარბე. ორივე მათგანი იწვევს გადაწყვეტილების მიღების ორიენტაციის დაკარგვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასწორი გადაწყვეტილების მიღება ან გაუმართლებელი უმოქმედობა.

- კრიზისს თან სდევს სისტემისათვის ზიანის მიყენების საფრთხე. კრიზისმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას და აღნიშნული ზიანის აღსადგენად შეიძლება დიდი რესურსები იქნეს გამოყენებული, ანუ კრიზისის მიერ ეკონომიკისთვის მიყენებულმა ზარალი შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ გამოიწვიოს მთლიანი ეკონომიკის კოლაფსი.

- კრიზისი, როგორც „შესაძლებლობათა ფანჯარა“, ანუ კრიზისი შესაძლებელია განხილულ იქნეს არა მხოლოდ დამანგრეველი, არამედ შემოქმედებითი პროცესის სახითაც.

- ეკონომიკური კრიზისები მრავალგვარია, ისევე როგორც მისი გამომწვევი მიზეზები. ეკონომიკური კრიზისის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია ერთი ან რამდენიმე ძირითადი ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც იწვევენ კრიზისს და განსაზღვრავენ მის ხასიათს [8].

რა თქმა უნდა, კრიზისის გამომწვევი მიზეზები არის კომპლექსური და მათი ახსნა რთულია. ექვგარეშეა, რომ კრიზისის, ასეთი სიძლიერით ზეგავლენის მოხდენა ეკონომიკაზე განპირობებულია ეკონომიკური აგენტების ქცევის გამო. ეკონომიკური აგენტები, რომლებიც სთავაზობდნენ ინვესტორებს ორნიშნა უკუგებას, მაშინ როდესაც ქვეყნის ეკონომიკა იზრდებოდა ერთნიშნა ციფრით. პრობლემის არსი არის უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე პოლიტიკოსების დავიწყებული წარსული გაკვეთილები და უფრო მაცდური ვიდრე იდეა, რომ ეკონომიკა თავის თავზე თვითონ იზრუნებს. გასული ათწლეული ეკონომიკური თეორია გვაუწყებს, რომ ფინანსურ ბაზრებს შეუძლიათ ავტომატურად და შეუფერხებლად ფუნქციონირება, შეუძლიათ გადაწყვიტონ ეკონომიკის ყველაზე მტკიცე, რთული პრობლემები და გამოწვევები, კერძოდ დღევანდელი დანაზოგები ტრანსფორმირდება ხვალინდელ ინვესტიციებში, ანუ დამზოგველები და მსესხებლები ერთმანეთთან იდეალურად ურთიერთობენ. თუმცა კრიზისმა ცხადყო, ფინანსურ ბაზრებს არ შეუძლიათ ყველა პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა.

გლობალური საფინანსო კრიზისის წარმოშობის წყაროდ და მსოფლიო მამტაბით გავრცელების მნიშვნელოვან ფაქტორებად შეიძლება გამოვეყოთ ორი მნიშვნელოვანი მიზეზი:

- გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა, რომლის დროსაც კრიზისის დაწყების მომენტის პროგნოზირება ძალიან რთულია.

- ფინანსური კაპიტალის ნაკადები, რომელიც განიცდის მკვეთრ ცვალებადობას, ანუ უეცრად შემოედინება ქვეყანაში ან გაედინება ქვეყნიდან.

შესაძლებელია, ასევე 2008 წლის ფინანსურ კრიზისს მივუსადაგოთ სხვა კრიზისების გამომწვევი ფაქტორები. ესენია:

- ბანკებისადმი უფლების მინიჭება, რომ შესულიყვნენ არასაბანკო სექტორებში, რამაც თითქმის გაანადგურა იქ მოღვაწე შესაბამისი მიმართულების კომპანიები, რის შედეგადაც აღნიშნულ დარგებს მიაღდა სერიოზული ზიანი.

- ბანკების მიერ გატარებული გაუაზრებელმა საკრედიტო პოლიტიკა. აღნიშნულმა დიდი ვალები დაადო ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომლებიც ეკონომიკური კრიზისის გამო ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

- საბანკო და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურების უუნარობა და უმოქმედობა. სწორედ ამ ინსტიტუციებს უნდა აღეკვეთა ბანკების შესვლა არასაბანკო სექტორში და დაეცვა აღნიშნული დარგები ჩავარდნისაგან.

- საბანკო და საფინანსო დარგის მსხვილი მესაკუთრეების მოგებაზე ორიენტირებული არაჯანსაღი პოლიტიკა.

- საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ აღმოჩენილი მიზეზების უგულვებელყოფა გარკვეული თანხის სანაცვლოდ, რამაც გამოიწვია ეკონომიკის არაჯანსაღი განვითარება.

- წინა საკრიზისო პერიოდში გატარებულმა ლიბერალურმა ფულად საკრედიტო პოლიტიკამ, რამაც გამოიწვია უძრავი ქონების ბაზარზე ფასების გაძვირება და გამოიწვია ფინანსური პირამიდების მომრავლება.

კრიზისის გამომწვევი მიზეზებისდა მიუხედავად ყველა კრიზისის თავიდან აცილება შეუძლებელია. მაგრამ არსებობს პრევენციული ღონისძიებები და კონკრეტული ნაბიჯები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ქვეყანა მინიმუმამდე დაიყვანოს კრიზისის მოხდენის ალბათობა და კრიზისის შედეგად გამოწვეული ზარალი. კრიზისის საპასუხო ოპტიმალური ღონისძიების გატარება დამოკიდებულია მის გამომწვევ მიზეზებზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბანკების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ზრდის მორალურ რისკს, რაც ხელს უშლის ანტიკრიზისული პოლიტიკის ფორმირებას. იმ შემთხვევაში თუ მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან ბანკებს, ამან შეიძლება წაახალისოს მომავალი სარისკო ქცევა. კრიზისების პროგნოზირება რთულია და კიდევ უფრო მეტად რთულია კრიზისიდან თავის დაღწევის პოლიტიკის შემუშავება. კრიზისების

გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება მხოლოდ ნაწილობრივ გვეხმარება სწორად განვსაზღვროთ ანტიკრიზისული პოლიტიკა [22][36].

2007-2008 წლის კრიზისის გამომწვევი მთავარი მიზეზი აშშ-ში უძრავი ქონების ბაზარზე ბუშტის გასკდომა იყო. უძრავი ქონების ბაზარზე აღინიშნებოდა ფასების მკვეთრი ზრდა 2001-2006, 2006 წლის ბოლოს აღინიშნა ფასების დაცემა წლიურ გამოხატულებაში, რაც შემდგომ 2007 წლის პირველ ნახევარში ფასების მკვეთრი დაცემით დასრულდა.

უძრავი ქონების ბაზარზე ბუშტის წარმოქმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო 2000 წელს სუბსტანდარტული იპოთეკების შემოღებაზე და აშშ-ს საბანკო სისტემის ფინანსურ დერეგულაციაზე.

- **სტანდარტული იპოთეკების შემოღება** - აღნიშნული ფაქტის შემდგომ მოთხოვნა გაიზარდა სუბსტანდარტულ სესხებზე. ამ ტიპის სესხები არ მოითხოვდნენ მსესხებლის თანამონაწილეობას, ხოლო საპროცენტო განაკვეთები მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო ფიქსირებული და ამ პერიოდის შემდგომ ისინი ცვალებადნი ხდებოდნენ. სუბსტანდარტული იპოთეკების ასეთმა პოპულარიზაციამ გამოიწვია მოთხოვნის მკვეთრი ზრდა უძრავი ქონების ბაზარზე, რამაც შემდგომ ხელი შეუწყო ფასების ზრდას. შექმნილი ვითარების შემდგომ დაიწყო საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რამაც გამოიწვია საბანკო სისტემაში მაღალრისკიანი სესხების დონის ზრდა და დეფოლტის რისკის ზრდა. საპროცენტო განაკვეთების ზრდამ ასევე გამოიწვია ფასების დაცემა უძრავი ქონების ბაზარზე, რამაც კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში ჩააყენა სტანდარტული იპოთეკარებისა და იპოთეკების გამცემი ბანკების ფინანსური მდგომარეობა.

- **ფინანსური დერეგულაცია** - ფინანსური დერეგულირებისა და ლიბერალიზაციის საერთო ტენდენციამ ხელი შეუწყო ახალი სისტემური რისკების გამოვლენას. აშშ-ში 1980 წლიდან დაიწყო საბანკო სისტემაში დერეგულაციები. 1980 წელს მიიღეს „სადეპოზიტო ინსტიტუტების დერეგულაციის და მონეტარული კონტროლის აქტი“, რომელმაც მსგავს ბანკებს შერწყმის უფლება მისცა. შედეგად შემცირდა საბანკო დაწესებულებების რიცხვი



და მოხდა სექტორის კონცენტრაციის ზრდა. შემდგომ ბანკებს მიეცათ უფლება დაეწესებინათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთები და უფლება მისცეს საინვესტიციო და კომერციულ ბანკებს გაერთიანებულიყვნენ.

უძრავი ქონების ბაზარზე ბუშტის გასკდომას საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰყვა. თუმცა შემდგომ კრიზისი გავრცელდა მთელს მსოფლიოში, რომლის შედეგები კიდევ უფრო მეტად დამანგრეველი აღმოჩნდა. კრიზისის გავრცელება მთელს მსოფლიოში გამოიწვია აშშ-ს ფინანსურ სექტორში იმავე პერიოდში მომხდარმა ფინანსურმა ინოვაციებმა. სუბსტანდარტული იპოთეკების შემოღებასთან ერთად აშშ-ს ფინანსურ სექტორში გამოჩნდა ორი ახალი ინოვაცია, იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები და სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა პოპულარობა მოიპოვეს უძრავი ქონების ბაზარზე შექმნილი ბუშტის გამო. აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს მსგავსი პრინციპი აქვთ, რომლის არსიც შემდგომში მდგომარეობს: რამდენიმე იპოთეკა მიეყიდება კერძო დაწესებულებას, რომელიც ახდენს ამ იპოთეკების სეკურიტიზაციას ერთ ფასიან ქაღალდად, რომელიც შემდგომში ინვესტორს მიეყიდება. მიყიდვას ანხორციელებენ საინვესტიციო ბანკის მიერ შექმნილი ვიწრო სპეციალიზაციის ცალკე ორგანიზაცია, რათა ბანკი დაცული იყოს ფინანსური რისკისგან. გაყიდვამდე სარეიტინგო კომპანიები ანიჭებენ ფასიან ქაღალდს რეიტინგს, რომელიც ხშირ შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე მასში შემავალი ფასიანი ქაღალდების და იპოთეკების.

იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების და სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაციების უსაფრთხოება მათი რეიტინგით განისაზღვრებოდა. ასევე ისინი საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით გამოირჩეოდნენ. შესაბამისად, ისინი ძალიან მიმზიდველნი აღმოჩნდნენ მთელი მსოფლიოს ინვესტორებისთვის, რომელთაც ჰქონდათ სურვილი თავიანთი ფული დაეხსნებინათ უსაფრთხო ფასიან ქაღალდებში [2].

2007-2008 წლის ფინანსურ კრიზისს ახასიათებდა ხუთი სტადია. აღნიშნული სტადიები მოიცავდა:

- სუბსტანდარტული იპოთეკების კრიზისი;

- დანაკარგების გაფართოება და საკრედიტო რისკების ზრდა ფინანსურ ინსტიტუტებში;

- ლიკვიდურობის კრიზისის ამოფრქვევა;

- სასაქონლო ფასების ბუმტი;

- საკრედიტო ბაზრების საბოლოო გაყინვა, რომელსაც თან ახლავს ინვესტიციების მკვეთრი შემცირება.

მოკლედ განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული სტადიები:

პირველი ეტაპი იყო სუბსტანდარტული იპოთეკების კრიზისი, რომლის დაწყების თარიღიც არის 2007 წლის 12 აგვისტო. აღნიშნული კრიზისის საპასუხოდ გაკოტრდა ორი მსხვილი ჰეჯირების ფონდი. ორივე მათგანის პორტფელის დიდ ნაწილი გაჯერებული იყო იპოთეკური ფასიანი ქაღალდებით. ამავე დროს სამი ევროპული საინვესტიციო ფონდი აღმოჩნდა უუნარო, რადგან მათი აქტივების ფასები მიბმული იყო სუბსტანდარტული ფასიანი ქაღალდების ფასებთან, რომლებმაც დაკარგეს ლიკვიდობა, ანუ იყვნენ არალიკვიდურნი უკვე სამ მსხვილ ბაზარზე. ამის საპასუხოდ, გაიყინა ფულადი სახსრები, ანუ მათი დაბრუნება გახდა შეუძლებელი, რამაც გამოიწვია ფართო ბაზრებზე პანიკა. ამ კრიზისმა გამოიწვია საბანკო ანგარიშებიდან სუბსტანდარტული სესხების ჩამოწერა, რამაც გაზარდა საბანკო დანაკარგები.

მეორე ეტაპმა სათავე აიღო 2007 წლის დეკემბერში, როდესაც აშკარა ხდებოდა, რომ ფინანსური კრიზისი მოედო სხვა საკრედიტო სფეროებს და ფართოდ გავრცელდა ფინანსურ ინსტიტუტებში. ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ განაკვეთების დაწევამ ხელი ვერ შეუშალა კრიზისის განვითარებას. ნათელი გახდა, რომ წარმატებული ბაზრების და კრედიტების რისკების ამაღლება გადაიზრდებოდა ლიკვიდობის რისკების და მორალური რისკების ამაღლებაში, რაც გულისხმობს, გაიზრდებოდა იმის ალბათობა, რომ მხარე, რომელთანაც იდება ხელშეკრულება, ვერ შეასრულებს ნაკისრ მოვალეობებს. ამ გადაცემის მექანიზმით იმ ფინანსური ინსტიტუტების მდგომარეობა, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ სუბსტანდარტული იპოთეკების ბაზრებზე, იყო ყველაზე მძიმე. განსაკუთრებით ისინი, ვინც ვერ მოახერხეს კაპიტალის ზრდა იმ დონემდე, რომელიც

მისცემდათ მათ საშუალებას შეემცირებინათ რისკები. საკრედიტო რისკების გავრცელებამ გაზარდა საფრთხე, რომ მოხდებოდა კრედიტების დეფოლტი, ამიტომ შემცირდა მოთხოვნა, როგორც კარგ, ასევე ცუდ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, ანუ დერივატივების ბაზარი გვადლევს შესაძლებლობას ეფექტურად ვმართოთ რისკი. ასევე აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების არასაბირჟო რეჟიმში ყიდვა გაყიდვაც, ანუ არსებობს ბირჟის გარეშე ბაზარიც. მორალური რისკის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია დერივატივების დილერებისთვის დიდი დანაკარგები.

იპოთეკური დერივატივების ბაზრის დანაკარგებმა და გაზრდილმა მორალურმა რისკმა გამოიწვია მწვავე პრობლემები ბანკებისთვის. კერძოდ, 2008 წლის 13 და 14 მარტს მათი ვალდებულებები დაეცა 17 მილიარდი აშშ დოლარით. სუბსტანდარტული იპოთეკების კრიზისმა, მისმა შემდგომმა გავრცელებამ საკრედიტო რისკებზე და გლობალურ ფინანსურ ინსტიტუტებზე გამოიწვია ლიკვიდობის რისკების ზრდა, სწორედ მაშინ, როდესაც ლიკვიდობის მართვა აღმოჩნდა ურთულესი პრობლემა ბანკებისთვის, მოხდა ლიკვიდობის კრიზისის ამოფრქვევა, რამაც კრიზისი გადაიყვანა შემდეგ საფეხურზე.

სასაქონლო ფიუჩერსების ბუმტი წარმოიშვა 2008 წლის დასაწყისში. ფიუჩერსი არის წარმოებული პროდუქტი, რომელიც ავალდებულებს მყიდველს, რომ გარკვეული საქონელი, გარკვეულ ფასად, გარკვეულ დროს იყიდოს, გამყიდველს კი - ეს საქონელი გაყიდოს. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ინვესტორებმა ნახეს დიდი დანაკარგები სავალო ვალდებულებით ობლიგაციების ბაზარსა და სხვა დერივატივების ბაზარზე, მათ გადაწყვიტეს, რომ ფულადი სახსრები მიემართათ სასაქონლო ფიუჩერსების ბაზრისკენ, რომელიც. მათი აზრით, იყო ნორმალურ პოზიციაში. როგორც ჩანს, ინვესტორების და სპეკულანტების ასეთმა ქცევამ მისცა ძლიერი სტიმული, რომ გაზრდილიყო სპოტ ფასები, ანუ რეალური საქონლის მიწოდების თარიღის დროს არსებული ფასი. სწორედ ისე, როგორც ეს იპოთეკური ბაზრის შემთხვევაში აღმოჩნდა, სასაქონლო ბაზრების ბუმტიც გასკდა, რამაც გამოიწვია ფინანსური სექტორის კიდევ უფრო მეტად პარალიზება.

საბანკო სისტემის უნდობლობა, ფინანსური ინსტიტუტების უნდობლობა, კრედიტების პარალიზება, ლიკვიდობის კრიზისი, სუბსტანდარტული იპოთეკების კრიზისი, ყველაფერი ამის ფონზე დიდი საფრთხე შეექმნა მომავალ კაპიტალდაბანდებებს. მოხდა ფინანსური ბაზრების ზედამხედველობის, ანალიზისა და კონტროლის სისტემური ნგრევა. ნდობა შეირყა არა მხოლოდ ამა თუ იმ ფინანსური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების მიმართ, არამედ რეგულატორებისა და ეკონომიკური უწყებების მიმართაც [10].

ფინანსური კრიზისის დამანგრეველმა შედეგებმა საჭირო გახდა დაეწყოთ ფიქრი, როგორც ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე, ასევე პრევენციულ ღონისძიებებზე. ამის გამო შეიმუშავეს გარკვეული ღონისძიებები, რომელთაც უნდა მოეხდინათ კრიზისების პრევენცია. გამოვეყნოთ რამდენიმე მონეტარული ღონისძიება, რომელიც მეცნიერთა აზრით, შეძლებს მოახდინოს კრიზისის პრევენცია:

- ახალი სარეზერვო ვალუტა;
- გაცვლითი კურსის მართვის მრავალმხრივი წესები;
- დამატებითი რეფორმები:

1. მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებული კოორდინაცია და ზედამხედველობა;

2. კაპიტალის კონტროლი;

საერთაშორისო მონეტარული და ფინანსური სისტემის ხარვეზებმა გარკვეული პრობლემები შეუქმნა აშშ დოლარს, როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტას. აღნიშნულმა გამოწვევამ გამოკვეთა ალტერნატიული სარეზერვო აქტივის არსებობის საჭიროება. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და მკვლევარების აზრით, ცენტრალური ბანკების დოლარების მარაგი უნდა იქნეს ასახული, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის შენაცვლების ანგარიშში, რათა იყოს დენომინირებული სპეციალურ საკრედიტო უფლებებში. რადგან სპეციალური საკრედიტო უფლებების ღირებულება ითვლება სხვადასხვა ვალუტის შეწონილი საშუალოთი, მისი ღირებულება უფრო მეტად სტაბილურია, ვიდრე მისი შემადგენელი რომელიმე ვალუტის ღირებულება.

ხელოვნური ვალუტის როლის გაძლიერებისთვის წინ გადადგმული მტკიცე ნაბიჯი იქნებოდა, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს დაუჭერდნენ მის ემისიას. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ლიკვიდობის უზრუნველყოფასთან და გვაძლევს საშუალებას გავცეთ კითხვაზე პასუხი, როგორ შეიძლება გაძლიერდეს სპეციალური საკრედიტო უფლებების როლი ისე, რომ ის გადაიქცეს საერთაშორისო ლიკვიდობის ძლიერ გარანტად და საერთაშორისო აქტივების მარაგების შესაქმნელად. ამჟამინდელი მანდატით საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჰგავს საკრედიტო გაერთიანებას, კავშირს, რადგან მას არ შეუძლია შექმნას თავისი ვალუტა, მაგრამ შეუძლია წევრი ქვეყნების შენატანების საფუძველზე გასცეს სესხები.

სპეციალური საკრედიტო უფლებების ხელმისაწვდომობის გაზრდის დროს გასათვალის-წინებელია ის ფაქტი, რომ ასეთი ლიკვიდობის წვდომის საჭიროება უნდა განსხვავდებოდეს არა მხოლოდ ქვეყნების მასშტაბების მიხედვით, არამედ დროის მიხედვით. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი ზრდა უნდა შეესაბამებოდეს გლობალურ გამოშვებას, საერთაშორისო ვაჭრობის ღირებულებას და ფინანსური ტრანზაქციების მოცულობას. მოკლევადიან პერსპექტივაში კი ის უნდა ატარებდეს სტაბილიზაციის ხასიათს გლობალური ეკონომიკისთვის. უნდა გაიზარდოს სპეციალური საკრედიტო უფლებები, მაშინ როდესაც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი იქნება პოტენციურზე დაბალი, ან აღმოჩნდება მსოფლიო ეკონომიკა კრიზისში და უნდა შემცირდეს სპეციალური საკრედიტო უფლებები მაშინ როდესაც იქნება მკვეთრი გლობალური ზრდის ტემპები.

სპეციალური საკრედიტო უფლებების გაძლიერებულ როლს ალბათ ექნება გარკვეული უპირატესობები. ეს საშუალებას მისცემს ქვეყნებს კრიზისის დროს მარტივად მიიღონ საერთაშორისო და საიმედო ლიკვიდობა, რაც შეამცირებს დოლარის დაგროვების საჭიროებას იმისათვის, რომ ფინანსურმა ბაზრებმა აღადგინონ ნდობა ვალუტის ან ქვეყნის მიმართ. მაგრამ მსოფლიოში, სადაც კაპიტალი შეიძლება თავისუფლად გადაადგილდეს, სპეციალური საკრედიტო უფლებები ხელს ვერ შეუშლის გაცვლითი კურსის დიდ რყევებს ან გრძელვადიან შეცდომებს, რადგან ის ასევე წახალისებს საარბიტრაჟო და სავალუტო

სპეკულაციებს. კითხვა, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ იმის წახალისება, რომ გაცვლითი კურსის მერყეობები შემცირდეს, ისევ პასუხგაუცემელი რჩება.

გლობალური ეკონომიკური მმართველობის სისტემა ხელს უწყობს სტაბილურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას, რადგან ის უზრუნველყოფს საერთაშორისო სტაბილურ გარემოს ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად და ინვესტიციების პროდუქტიულ სექტორებში დასაბანდებლად. სავალუტო კურსის შეცდომები კი უგზავნის არასწორ სიგნალებს ეკონომიკურ სუბიექტებს, რაც ზიანს აყენებს ინოვაციებსა და ინვესტიციებს. ხოლო ამ შეცდომების კომპლექსური ხასიათი ზიანს აყენებს კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

სხვადასხვა ფინანსური და სავალუტო კრიზისის გამოცდილება ბრეტონ ვუდსის სისტემის დანგრევის შემდეგ ცხადყოფს, რომ თავისუფლად მცურავ გაცვლით კურსზე შეიძლება პერიოდულად მოხდეს სპეკულაციური შეტევები, მართალია, ქვეყნებს აქვთ ავტონომია მონეტარული პოლიტიკის შემუშავებაში, თუმცა შეიძლება ნომინალური გაცვლითი კურსების სტაბილურობის შენარჩუნება იყოს კონტრპოდუქტიული, რადგან მას შეუძლია თავიდან ვერ აგვაცილოს მიმდინარე ანგარიშის დისბალანსი. ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილებები არის აუცილებელი, რადგან ის ასახავს ქვეყნებს შორის ხარჯებსა და ფასების განსხვავებებს. მეორეს მხრივ კი გადაჭარბებული მერყეობა ხელს უწყობს სპეკულაციებს და საფრთხეს უქმნის გრძელვადიან ინვესტიციებს, ხოლო რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებები გავლენას ახდენენ საერთაშორისო მწარმოებლებს შორის კონკურენტუნარიანობაზე, რადგან მათ არ შეუძლიათ დარჩნენ იმ ბაზრებზე, რომლის ძლიერი სპეკულაციური ძალების გავლენის ქვეშ იმყოფება. ყოველივე ეს მოუწოდებს ისეთი სისტემის შექმნას, რომელშიც ქვეყნების გაცვლითი კურსები იქნება უფრო მეტად მოქნილი და იმოძრაოს ამ კურსებმა ისეთ ჩარჩოებში, რომელიც დაიცავს ასევე სხვა ქვეყნების ინტერესებს.

ერთ-ერთი მიმართულება საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმირებაში შემოთავაზებული იქნა UNCDAT-ის მიერ. მის მიერ შემოთავაზებული რეფორმა მოიცავს მრავალ შეთანხმების პრინციპებსა და მართვის წესებს, რომლებიც მიმართულია მდგრადი

მიმდინარე ანგარიშის შენარჩუნებისკენ, რაც მიიღწევა რეალური გაცვლითი კურსის უფრო მეტი სტაბილურობით. ამ წესებთან და პრინციპებთან შესაბამისობის მონიტორინგის გარანტი უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციები. ნომინალური გაცვლითი კურსის კორექტირება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლადების ცვლილებით, როგორც არის მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი, ერთეული შრომითი დანახარჯები ან ცენტრალური ბანკების საპროცენტო განაკვეთები, რათა გამოვლინდეს ინფლაციის გამომწვევი ტენდენციები და თავიდან ავიცილოთ ინტერესთა პარიტეტის დარღვევა.

საბაზრო წესებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ ქვეყნებში და გარკვეულ დროს, გარკვეული მოქნილობა აუცილებელია. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ეფექტური გაცვლითი კურსის დონის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა. ამდენად, საერთაშორისო სავაჭრო სისტემის განხილვისას აუცილებელია არ დაგვავიწყდეს, რომ ხშირ შემთხვევაში საჭიროა სპეციფიკური და დიფერენცირებული მიდგომები. განვითარებადი ქვეყნებისთვის საჭიროა შენარჩუნდეს მოქნილობის გარკვეული ხარისხი, რადგან მათ ჯერ კიდევ უნდა გაიარონ გრძელი გზა, რათა შევიდნენ განვითარებული ქვეყნების რიგში. მათ უნდა მიეცეთ საშუალება, რომ დაიცვან ადგილობრივი მწარმოებლები გლობალურ ბაზრებზე, რათა მოახდინო საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

ამგვარ სავალუტო სისტემას თან ახლავს გარკვეული სირთულეებიც, როგორც არის ავტონომიური მონეტარული პოლიტიკის განხორციელების შეზღუდვა და პარიტეტის დაცვა. ამიტომ პოლიტიკის გამტარებლები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ისინი მიიღებენ სარგებელს, კერძოდ, უფრო მეტი სტაბილურობა საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსურ ურთიერთობებში, კრიზისების რისკის შემცირება, შემცირებული გარეგანი უარყოფითი ეფექტები, სავაჭრო ურთიერთობების ნაკლები დამახინჯება და გადაწყვეტილებების მიღების სწორი პარამეტრები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული წახალისებს ინვესტორებს, რაც გაზრდის ინოვაციებსა და ინვესტიციებს, რადგან ეკონომიკა უფრო მეტად სტაბილური და პროგნოზირებადი გახდება.

გაცვლითი კურსის კორექტირების მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია მრავალმხრივ შეთანხმებებსა და წესებზე გრძელვადიან პერსპექტივაში განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტს და გადაჭარბებული ბუმის ეპიზოდებს, რაც შემდგომ ხდება საფუძველი საგარეო ვალის დაგროვების, რომელიც, როგორც წესი, იწვევს ფინანსურ და სავალუტო კრიზისებს. ამიტომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება, როგორც არის გაუმჯობესებული საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია, უფრო მეტი ეფექტური მეთვალყურეობა და კაპიტალური ანგარიშის მართვა.

- **მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებული კოორდინაცია და ზედამხედველობა** - მრავალმხრივი გაცვლითი კურსის მექანიზმი უფრო მეტად მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე, თუ მას შეავსებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებული კოორდინაცია და ზედამხედველობა, რომლის გარანტიად უნდა გამოვიდეს საერთაშორისო ორგანიზაციები. მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია ხშირ შემთხვევაში ეფექტიანად გამოიყენებოდა კრიზისის დროს და შესაძლოა, ასევე ეფექტიანი იყოს პრევენციული ღონისძიებებისთვის. ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რეკომენდაციების და წესების დაცვა. თუ მთავრობები აღიარებენ რომ გლობალური სტაბილურობის მისაღწევად საჭიროა შეზღუდვები მაკროეკონომიკური პოლიტიკის ავტონომიურობის კუთხით, თუმცა მისი სარგებელი იქნება გაცილებით დიდი, რადგან კოორდინირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება კრიზისების პრევენციისკენ და იქნება უფრო მეტი გარანტი სტაბილურობისა.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისა და ზედამხედველობის გაძლიერების შემდგომ მისი ფოკუსირება უნდა მოხდეს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ნდობის ამაღლებისკენ და ციკლური მოთხოვნის მართვისკენ. განსხვავებით წარსული პრაქტიკისაგან, საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს საერთო საპროცენტო განაკვეთების შენახვას მინიმალური დანახარჯებით, უზრუნველყოს



ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი პირობები. ფისკალური პოლიტიკის შეფასება უნდა მოხდეს მისი მოთხოვნისა და დასაქმების სტაბილიზაციის წვლილის მიხედვით.

- **კაპიტალის კონტროლი** - კაპიტალური ნაკადების მართვა ცალკე ყურადღებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაკადების მართვა ხელს უშლის სპეკულაციურ ბუშტებს და ფინანსური ინსტიტუტების არაგამჭვირვალე და გადაჭარბებულ რისკებს, ის მაინც არ არის მხოლოდ ფინანსური პოლიტიკის საკითხი. აღნიშული კაპიტალის ნაკადების კონტროლი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში.

კაპიტალის მენეჯმენტი კრიზისის პერიოდში ძირითადად მოიცავს შეზღუდვებს კაპიტალის გადინებაზე. მეორე მხრივ, ის ასევე აღიქმება, როგორც სპეკულაციური ბუშტების თავიდან აცილების გზა, სავალუტო ცდომილებების თავიდან აცილების ინსტრუმენტი და გარანტი, რომ შენარჩუნებული იყოს შიდა მაკროეკონომიკური პოლიტიკის სივრცე, ამ დროს ის ასევე გულისხმობს შეზღუდვებს კაპიტალის შემოდინებაზეც. შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალური ანგარიშის მენეჯმენტი შეიძლება კრიზისის დროს გამოყენებული იქნეს ზედმეტი უცხოური სესხების შესაზღუდად და კაპიტალის მკვეთრი გადინების შესაჩერებლად [21. გვ. 313-320].

## თავი II. თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და საქართველო

### 2.1 საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, არის მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას მაკროეკონომიკური პროცესების შესახებ და გამოხატავენ ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორის განვითარების ტენდენციას. მაკროეკონომიკური ინდექსები შეიძლება არა მხოლოდ ერთ დარგს, არამედ მთლიანად ეკონომიკის განვითარების დინამიკასაც გვიჩვენებდეს.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დაჯგუფება შესაძლებელია მოხდეს ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

- რეალური სექტორი
- მონეტარული სექტორი
- საგარეო სექტორი
- ფისკალური სექტორი

**ეკონომიკის რეალური სექტორის** - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები არის: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, უმუშევრობის დონე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს.

მთლიანი შიდა პროდუქტი არის ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში. არსებობს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი მეთოდით:

1. წარმოების მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სქემა:

საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში

- საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება

**= მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში**

+ გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე

- სუბსიდიები პროდუქტებზე

**= მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**

2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სქემა:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები

+ შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯები

+ სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური და პერსონალური მომსახურების ხარჯები

+ ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+ მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

**= მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში**

+ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

- საქონლისა და მომსახურების იმპორტი

**= მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**

3. შემოსავლების მეთოდით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სქემა:

შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატის სახით

+ თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი

+ კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება

+ გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე


- სუბსიდიები წარმოებასა და იმპორტზე

**= მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.[35.]**

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი არის წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა გამოხატული მიმდინარე ფასებში. აღნიშნული დიაგრამა (იხ. დიაგრამა 2.1.1) გვაწვდის ინფორმაცია, თუ როგორ იცვლებოდა 2003 წლიდან 2018 წლამდე

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის გრაფიკი ხასიათდება აღმავლობით. თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი მომენტი, მიუხედავად იმისა რომ ტრენდი საბოლოოდ მაინც აღმავალია არის დაღმავლობის ეტაპიც 2009 წელს.


დიაგრამა 2.1.1



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი არის წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა გამოხატული მუდმივ ფასებში. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება 2010 წლის ფასების მიხედვით. აღნიშნული დიაგრამა (იხ. დიაგრამა 2.1.2) გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა 2003 წლიდან 2018 წლამდე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი. აღნიშნული ტრენდი ისევე, როგორც ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ტრენდი ხასიათდება აღმავლობით, თუმცა 2019 წელს აქაც აღინიშნება დაღმავლობა.


დიაგრამა 2.1.2



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში არის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან. (იხ. დიაგრამა 2.1.3)


დიაგრამა 2.1.3



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მუდმივ ფასებში არის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან. (იხ. დიაგრამა 2.1.4)


დიაგრამა 2.1.4



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპის ინდიკატორი გვიჩვენებს თუ როგორ იზრდება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი. (იხ. დიაგრამა 2.1.5)

დიაგრამა 2.1.5



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)


ეკონომიკურად აქტიური - პირი, რომელის მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას საქონელის ან მომსახურების საწარმოებლად. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ზემოთაღნიშნული ნაწილი.

დასაქმებული - პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა შემოსავლის მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

უმუშევარი - 15 და მეტი წლის პირი, რომელსაც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში არ უმუშავია ერთი საათიც კი, მზად იყო მუშაობისთვის და ეძებდა სამუშაოს გამოკითხვამდე 5 კვირის განმავლობაში.[33.]

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს ორ კატეგორიას დასაქმებულები და უმუშევრები. უმუშევრობის დონე გვიჩვენებს უმუშევრების რაოდენობის თანაფარდობას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან. (იხ. დიაგრამა 2.1.6)

დიაგრამა 2.1.6



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>)

საქართველოს რეალური სექტორის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით აშკარად იკვეთება შემდეგი ტენდენცია: გამოკვეთილი არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდადი ტემპი დიაგრამების მიხედვით, თუმცა აღინიშნება მხოლოდ 2009 წელის უარყოფითი ეკონომიკური ზრდა (-3,65%). უარყოფითი ეკონომიკური ზრდის გამომწვევია ფაქტორი არის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს ომი. აღნიშნულმა ორმა ფაქტორმა მოახდინა დიდი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდის ტემპზე, ხოლო 2008 წელს დაფიქსირდა ყველაზე დაბალი ზრდა (2,42%). შესაძლებელია ითქვას, რომ გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს ომმა ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითება მოახერხა 2008 წელს, ხოლო 2009 წელი კიდევ უფრო მწვავე აღმოჩნდა საქართველოსთვის, რადგან დაფიქსირდა უარყოფითი ეკონომიკური ზრდა.

ფინანსური კრიზისი დაიწყო 2006 წლის ბოლო. აღნიშნულმა კრიზისმა მკვეთრი ცვლილება ვერ განახორციელა მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაზე მანამდე, სანამ არ დაემთხვა მას მეორე საქართველოსთვის, ასევე მეტად მნიშვნელოვანი უარყოფითი ეკონომიკური მოვლენა 2008 წლის აგვისტოს ომი. შესაბამისად მსგავსი სურათი გვაქვს დიაგრამაზე - მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა შესაძლებელია ითქვას, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის მიმართ შედარების უფრო მეტად მგრძობიარე აღმოჩნდა შრომის ბაზარი. უმუშევრობის დონემ 2006 წელს შეადგინა 15,4% ხოლო 2007 წელს 17,4%, ანუ ერთი წლის მანძილზე უმუშევრობის დონე გაიზარდა 2%-ით, შემდგომ განაგრძო ზრდა და მაქსიმუმს მიაღწია 2009 წელს 18,3%-ს. 2009 წლის შემდგომ იწყება უკვე მისი შემცირების ფაზა, პირველ ეტაპზე 2010 წელს ის დაუბრუნდა 2007 წლის მაჩვენებელს და თითქმის მისი ტოლი იყო 2013 წლამდე, ხოლო შემდგომ, 2014 წლიდან კი ის უბრუნდება თავის ძველ ნიშნულს და იწყება უკვე მისი ეტაპობრივი შემცირება.

**ეკონომიკის მონეტარული სექტორის** - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები არის: ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე, საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, რეალური გაცვლითი კურსი, ნომინალური გაცვლითი კურსი.



სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზისო პერიოდთან შედარებით.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

✓ სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება საქართველოში ინფლაციის დონის გასაანგარიშებლად. ამასთან, სამომხმარებლო ფასების ინდექსი მონაწილეობის მიზნობრივი ინფლაციის დონის გასაანგარიშებლად.

✓ სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მნიშვნელოვან ორიენტირს შემოსავლების, სოციალური დახმარებების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა თანხების ინდექსაციის პროცესში.

✓ სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასრულებს დეფლატორის როლს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშების დროს ინფლაციის გავლენის გამოსარიცხად.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ პირადი მოხმარების მიზნით საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ცვლილებას.


ინდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა თუ ინსტიტუციონალური დაწესებულებების მიერ გაწეულ ხარჯებს.

ფასების შეგროვება ხდება ექვს დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში. სამომხმარებლო კალათა ექვსივე ქალაქისთვის იდენტურია.[38. 4გვ]

ინფლაციის დონე მონეტარული სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. აღნიშნულ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1.7) წარდგენილია საქართველოში არსებული ინფლაციის დონე 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, სადაც ერთმანეთთან შედარებულია მიმდინარე წლის საშუალო წლიური ინფლაცია წინა წლის საშუალო წლიურ ინფლაციასთან. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით მიხედვით ინფლაციის მკვეთრი მატება იწყება 2005 წლიდან და პიკს აღწევს 2008 წელს (10,1%), შემდგომ კი 2009 წელს

მკვეთრად ეცემა 1,7%-მდე. 2010 და 2011 წლებში იწყებს ისევ მკვეთრ ზრდას (8,7 %-მდე იზრდება) თუმცა 2008 წლის მაქსიმუმის წერტილს ვერ სცდება, რასაც მოჰყვება შემდგომი ორი წელი დეფლაცია. ამის შემდგომ კი ინფლაცია შედარების მკვეთრი გადახრებით აღარ გამოირჩევა.


დიაგრამა 2.1.7



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>)

მონეტარული სექტორის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა რიგში ასევე მეტად მნიშვნელოვანია დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები და სესხების საპროცენტო განაკვეთები. აღნიშნული განაკვეთები შეიძლება ითქვას საკვანძო როლს ასრულებს ფინანსური სექტორისთვის და ბევრ სხვა მონეტარულ ცვლადზე ახდენენ გავლენას.

დეპოზიტებისა და სესხების განაკვეთები წარდგენილია არის დიაგრამა 2.1.8-ში, დიაგრამაზე ასახულია საპროცენტო განაკვეთები წლების მიხედვით 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.




წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#depozitebi>)

მონეტარულ სექტორში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან გაცვლითი კურსების. მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ნომინალური გაცვლითი კურსი ასევე რეალური გაცვლითი კურსი.

ნომინალური გაცვლითი კურსი არის უცხოური ვალუტის ფასი გამოხატული ადგილობრივი ვალუტით, ხოლო რეალური გაცვლითი კურსი არის უცხოური საქონლის ფასი გამოხატული ადგილობრივი საქონლით. ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ინდექსის კლება – გაცვლითი კურსის გაუფასურებას. [8. 234 გვ.]


ნომინალური გაცვლითი კურსი (იხ. დიაგრამა 2.1.9) გამოსახულია წლების მიხედვით 2003 წლიდან 2018 წლამდე. არჩეული არის ორი უცხოური ვალუტა დოლარი და ევრო, ხოლო რეალური გაცვლითი კურსი წარმოდგენილია ინდექსების სახით (იხ. დიაგრამა 2.1.10) და ისიც, ასევე წარდგენილია როგორც ქართული ლარის მიმართება ორ ვალუტასთან დოლართან და ევროსთან.

დიაგრამა 2.1.9



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#depozitebi>)

დიაგრამა 2.1.10



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#depozitebi>)

საქართველოს მონეტარული სექტორის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შესაძლებელია, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

1) გლობალური ეკონომიკურ ფინანსური კრიზისის დაწყება საქართველოს ინფლაციის ზრდა გამოიწვია, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომმა იმდენად უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის წარმოების დონეზე, რომ გაზრდილი ინფლაციის ნაცვლად მივიღეთ 2009 წელს დეფლაცია. ვფიქრობ, დახმარებებისა და გრანტების საშუალებით შემდგომ, შემლო საქართველომ გადაეფარა აღნიშნული დეფლაცია, თუმცა დიდ ხანს თავისთავად ეს არ გაგრძელდებოდა და 2011-2012 წლებში მივიღეთ ასევე დეფლაცია. შედეგად უარყოფითი ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ფაქტორების გამო მივიღეთ არასტაბილური ინფლაციის დონე.

2) საპროცენტო განაკვეთების ზრდა თავისთავად თანმდევი აღმოჩნდა ინფლაციის ზრდის პარალელურად, თუმცა რადგანაც დეფლაციის წინაშე დადგა ქვეყანა 2008 წლის შემდგომ დაიწყო მისი ეტაპობრივი და არა მკვეთრი ცვლილება და ის დღემდე დაღმავალ ტრენდს ინარჩუნებს.

3) რეალური გაცვლითი კურსი დამოკიდებულია, როგორც ნომინალურ გაცვლით კურსზე, ასევე ადგილობრივი და უცხოური ფასების თანაფარდობაზე. 2005 წლიდან დაიწყო რეალური გაცვლითი კურსის გამყარება რაც ორი მიზეზით იყო განპირობებული:

➤ ნომინალური გაცვლითი კურსის შემცირებამ 2005 წლიდან დადებითი ზეგავლენა მოახდინა სხვა თანაბარ პირობებში რეალურ გაცვლით კურსის ინდექსზე, ამიტომ ის გამყარდა უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში.

➤ ინფლაციის ზრდამ ასევე დადებითად იმოქმედა რეალურ გაცვლით კურსის ინდექსზე, რომელიც ასევე 2005 წლიდან დაიწყო.

შედეგად რეალურმა გაცვლითმა კურსმა დაიწყო გამყარება 2005 წლიდან. 2008 წელს მან მიაღწია პიკს. აღნიშნულ შემთხვევაში ორივე ფაქტორმა გამოიწვია იყო რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება ერთი მიმართულებით. სხვა შემთხვევაში მსგავსი ლოგიკით იმეორებს რეალური გაცვლითი კურსი აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილებებს. თუმცა არ უდნა გამოგვრჩეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

➤ შესაძლებელია აღნიშნული ორი ფაქტორი საპირისპირო მიმართულებების შეცვალოს ამ დროს, რომლის გავლენაც უფრო დიდი იქნება რეალურ კურსის ინდექსზე იმ მიმართულებით შეიცვლება ის.

➤ შესაძლებელია აღნიშნული ფაქტორების გარდა სხვა ეკონომიკურმა ან არაეკონომიკურმა ფაქტორებმაც მოახდინონ დიდი ზეგავლენა რეალურ გაცვლითი კურსის ინდექსზე.


ეკონომიკის საგარეო სექტორის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებია: საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, საქონლისა და მომსახურების იმპორტი, სავაჭრო ბალანსის სალდო, მომსახურების ბალანსის სალდო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები.

ქვეყნის საქონლის ექსპორტი, საქონლის იმპორტი საქონელი არის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მუხლებია, სადაც დარეგისტრირებულია საქონლის ღირებულება საბაზრო ფასების მიხედვით, რომელზე საკუთრების უფლება საანგარიშწორებო პერიოდის განმავლობაში გადავიდა რეზიდენტიდან არარეზიდენტზე (ექსპორტი) და არარეზიდენტიდან რეზიდენტზე იმპორტი. გარდა ჩვეულებრივი საქონლის ექსპორტისა და იმპორტისა ამ განყოფილებაში ფიქსირდება შემდგომი გადამუშავებისთვის განკუთვნილი საქონლის ექსპორტი და იმპორტი, რემონტი, სატრანპორტო ორგანიზაციების მიერ პორტებში შექმნილი საქონელი, ასევე არამონეტური ოქრო [8. გვ. 218].

საქონლის ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობით მიიღება სავაჭრო ბალანსი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი საგარეო მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. ითვლება, რომ ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბება ქვეყნის ეკონომიკის ჯანსაღი მდგომარეობის მაჩვენებელია: იზრდება მსოფლიო მოთხოვნა მოცემული ქვეყნის საქონელზე და მყიდველები შიდა ბაზარზე უპირატესობას ანიჭებენ ადგილობრივი წარმოების საქონელს იმპორტულთან შედარებით [8. გვ. 221-222].

ზემოთ აღნიშნული სამი მაჩვენებელი წარდგენილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1.11) სადაც ასახულია ამ მაჩვენებლების ცვალებადობა 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

დიაგრამა 2.1.11



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (მლნ. აშშ დოლარი)  
(<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>)

საქართველოს საქონლის ექსპორტი 2003 წლიდან 2008 წლამდე აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა, რადგანაც 2008 წლის ფინანსური კრიზისის გარკვეული დრო სჭირდებოდა იმისთვის, რომ გადასულიყო რეალურ სექტორში და 2009 წელის ექსპორტის მაჩვენებელში ჰპოვა მან ასახვა, 2009 წლის მაჩვენებელი 30%-ით არის შემცირებული. საქონლის ექსპორტის მაჩვენებელს დასჭირდა 3 წელი იმისათვის რომ დაბრუნებულიყო ძველ ნიშნულს, ანუ 2011 წელს. ამის შემდგომ ის კვლავ აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა 2014 წლამდე, რომლის შემდგომ ისევ დაიწყო დაღმავლობის პერიოდი და 2018 წელს შეძლო მაჩვენებელმა რომ დაბრუნებულიყო 2014 წლის ნიშნულს.

საქონლის იმპორტის მაჩვენებელი იმეორებს ექსპორტის მაჩვენებლის ტრენდს.

საქართველოს სავაჭრო ბალანსის სალდო ხასიათდება ქრონიკული დეფიციტით. მას მხოლოდ მკვეთრი მერყეობა ახასიათებს 2009 წელს, რად გამოწვეული იყო ექსპორტის


დაახლოებით 30 პროცენტით შემცირებით და იმპორტის 20 პროცენტით შემცირებით. სხვა წლებშიც აღინიშნება მისი მსუბუქი ცვალებადობა

ქვეყნის მომსახურების ექსპორტი, საქონლის მომსახურების საქონელი არის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მუხლებია, სადაც რეგისტრირდება მომსახურება, რომელსაც რეზიდენტები უწევენ არარეზიდენტებს (ექსპორტი) და არარეზიდენტები რეზიდენტებს (იმპორტი). კერძოდ იგი მოიცავს სატრანსპორტო მომსახურებას, ტურისტულ მომსახურებას, საკომუნიკაციო მომსახურებას, სამშენებლო და ფინანსურ მომსახურებას, სადაზღვევო მომსახურებას, კომპიუტერულ და საინფორმაციო მომსახურებას, როიალტს და ლიცენზიის გადასახადებს, ოპერაციულ ლიზინგსა და სხვა მომსახურებას [8. გვ. 219].

მომსახურების ბალანსის დადებითი სალდო ნიშნავს ქვეყნის საკმაოდ მაღალ კონკურენტუნარიანობას მომსახურების გაწევაში. მსოფლიოს ბაზარზე მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები არიან მრეწველობით განვითარებული ქვეყნები [8. გვ. 222].

საქართველოში მომსახურების ექსპორტი, იმპორტი და მომსახურების ბალანსის სალდო გამოსახულია დიაგრამაზე, (იხ. დიაგრამა 2.1.12) რომელზეც ასახულია მონაცემები 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

დიაგრამა 2.1.12



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (მლნ. აშშ დოლარი)  
(<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>)



მომსახურების ექსპორტს, ისევე როგორც იმპორტს ახასიათებს ზრდადი ტრენდი. 2008 წელს განვითარებულმა მოვლენებმა ვერ შეძლო მომსახურების ექსპორტის შემცირება თუმცა შეძლო მისი ზრდის ტემპების შენელება. ხოლო რაც შეეხება მომსახურების იმპორტს იგი შემცირდა 2009 წელს დაახლოებით 20%-ით და 2011 წლამდე ვერ შეძლო ძველი ნიშნულის დაბრუნება. ამის შემდგომ 2015 და 2016 წლებში ახასიათებდა მას უმნიშვნელო შემცირება.


მომსახურების ბალანსის სალდოს ქრონიკული პროფიციტი ახასიათებს. მისი მკვეთრი შემცირება მოხდა 2008 წელს, ხოლო 2014 და 2015 წლებში მოხდა მსუბუქი შემცირება, სხვა წლების მანძილზე იგი აღმავლობით ხასიათდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდლო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. იგი საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორია არის, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10%-ს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი კომპონენტები არის: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები [41].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გამოსახულია დიაგრამაზე (იხ დიაგრამა 2.1.13), რომელზეც ასახულია მონაცემების 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.



წყარო - საქსტატი (მლნ. აშშ დოლარი)

(<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>)


პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე დიდი ზეგავლენა იქონია 2008 წელს განვითარებულმა მოვლენებმა. აღნიშნულმა აჩვენებელმა 2007 წლის შემგომ დაიწყო კლება 2008 წელს მოხდა 10%-იანი კლება, ხოლო 2009 წელს მიაღწია მინიმუმს მოხდა 2008 წელთან შედარებით 58%-იანი კლება. 2004 წლამდე ვერ შეძლო ამ ინდიკატორმა დაბრუნებოდა ძველ ნიშნულ (იგულისხმება 2007 წლის ნიშნული). ამის შემგომ 2015 და 2016 წლებში მას ისევ დადმავალი მონაკვეთი აქვს, რომელიც 2017 წელს იზრდება და 2018 წელს ისევ მცირდება.

ფულადი გზავნილების ასახავს საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებებით (Western Union, Money Gram, Anelik, Unistream და სხვა) საზღვარგარეთიდან საქართველოში და პირიქით ფულადი გზავნილების მოცულობას.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით), აგრეთვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები [41].

ფულადი გზავნილების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1.14) 2003 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

დიაგრამა 2.1.14



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (მლნ. აშშ დოლარი)  
(<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>)

ფულადი გზავნილების ტრენდის მიხედვით მას 2003 წლიდან 2008 წლის ჩათვლით ახასიათებს აღმავალი ტრენდი, თუმცა 2009 წელს ახასიათებს 16%-იანი ვარდნა. მან 2010 წელს უკვე შეძლო დაბრუნებოდა ძველ ნიშნულს. ამის შემდგომ 2013 წლის ჩათვლით ახასიათებს აღმავალი ტრენდი, 2014 წელს იგი უმნიშვნელოდ მცირდება ხოლო 2015 წელს ახასიათებს მკვეთრი 25%-იანი ვარდნა. 2018 წელს კი უმნიშვნელოდ გადააჭარბა ძველ (იგულისხმება 2013 წლის ნიშნული) ნიშნულს.


**საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი** - მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოსთან “საგარეო ვალის სტატისტიკა“.

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური ვალდებულებების შესახებ არარეზიდენტების მიმართ. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ცნება, საგარეო ვალის სახელმძღვანელოს მიხედვით, შემდეგნაირად ყალიბდება: „ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის წარმოადგენს ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელ თანხას, რომელიც

მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი პერიოდის რომელიმე მომენტში“. საგარეო ვალის ეს განმარტება საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, ჩართული უნდა იყოს ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში. საანგარიშო ერთეულად, ისე როგორც საგადასახდელი ბალანსის შემთხვევაში, გამოყენებულია აშშ დოლარი [39].

საგარეო ვალის შესახებ მონაცემები მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1.15) 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

დიაგრამა 2.1.15



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (მლნ. აშშ დოლარი)  
(<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>)

მთლიანი საგარეო ვალის მკვეთრი ზრდა აღინიშნება 2007 წლიდან. 2007 წელს იგი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 54%-ით არის გაზრდილი, ასევე მკვეთრი ზრდა ახასიათებს 2008 დაახლოებით 34% ამის შემდგომ კი 2012 წლამდე იზრდებოდა საშუალოდ 14%-ით. ხოლო 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი 5%-ს შეადგენს.

**ფისკალური სექტორის** - ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები არის: ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები, ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები, ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო, საშინაო ვალის ნაშთი, საგარეო ვალის ნაშთი.

ნაერთი ბიუჯეტი არის საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული

ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები არის საანგარიშო პერიოდში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა. იგი შეიძლება დაიყოს:

- შემოსავლები
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები)
- ფინანსური სახსრები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები ნაშთის გამოყენების გარდა)
- ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები) [11].

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების ასახულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1.16) 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, აღნიშნული ინდიკატორი გვიჩვენებს, როგორ და რის ხარჯზე იცვლებოდა ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები.


ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები არის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა. იგი შეიძლება დაიყოს:

- ხარჯები
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისთვის მიმართული სახსრები)
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისთვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა)
- ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისთვის მიმართული სახსრები)

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები ასახულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1.15) 2003 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო არის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სხვაობა, რომლის ცვლილება 2003-2008 წლებში გამოსახულია დიაგრამაზე (იხ დიაგრამა 2.1.16)

დიაგრამა 2.1.16



წყარო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მლნ. ლარი)  
([https://mof.ge/finansebis\\_statistika\\_naerti\\_biujeti](https://mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti))

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები მკვეთრად არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით 2008 წელს. ზრდამ დაახლოებით 24%-ს შეადგინა. ამის შემდგომ კი შენარჩუნდა ამ ნიშნულზე 2011 წლამდე, რომლის შემდგომ კვლავ ზრდა განაგრძო.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებს 2003 წლიდან 2008 წლის ჩათვლით ახასიათებს ზრდა, ხოლო 2009 წელს მცირდება დაახლოებით 10%-ით. ამის შემდგომ იგი მალევე 2010 წელს უბრუნდება 2008 წლის ნიშნულს და ახასიათებს აღმავალი ტრენდი.

ნაერთი ბიუჯეტის მთლიან სალდოს ახასიათებს მერყეობები. ის მხოლოდ 2009 წელს იყო დეფიციტური. აღნიშნული დეფიციტი განპირობებული იყო წინა წელთან შედარებით შემოსავლების 10%-იანი შემცირებით, ხოლოდ ხარჯები თითქმის არ შეცვლილა. აღნიშნულმა ფაქტმა კი გამოიწვია დეფიციტის წარმოქმნა და საოპერაციო სალდოს 130%-

იანი შემცირება. დანარჩენს წლებში საოპერაციო სალდო არის დადებითი, თუმცა ახასიათებს მცირედი მერყეობები.

## 2.2 მსოფლიო ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა საქართველოზე

საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მართალია მან შესაძლებელი გახადა ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და განვითარების დაჩქარება, მაგრამ ასევე შესაძლებლობა მისცა კრიზისებს, რომ სწრაფად გავრცელებულიყვნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. მსოფლიო რეცესია, რომელიც დაიწყო 2008 წელს გამოწვეული იყო 2007 წლის ფინანსური კრიზისით. კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან, რომელიც გავრცელდა სხვა ქვეყნებზეც. [15, გვ. 18-19]

2008 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკისთვის. სწორედ საანგარიშგებო წელს მსოფლიოში გამწვავდა გლობალური ფინანსური კრიზისი და ეკონომიკური რეცესია, რომელსაც სულ უფრო მეტად XX საუკუნის 30-იანი წლების დიდ დეპრესიას ადარებენ. [39. 9 გვ.]

ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით 2008 წლის მეორე ნახევარში იჩინა თავი და მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკის ზრდის ტემპები წლის მე-3 და მე-4 კვარტლებში არსებითად ჩამორჩებოდა წლის პირველ ნახევარში ნაჩვენებ ანალოგიურ მაჩვენებლებს. [39. 9 გვ.]

რადგანაც მსოფლიო კრიზისის მაშტაბებმა თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა და საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის ნაწილია, ამიტომ გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანად ნეგატიური იყო და ქვეყანა მრავალი ეკონომიკური სირთულის წინაშე დააყენა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საბანკო კრედიტები და საბიუჯეტო სახსრები. აღნიშნული ფაქტორების ზრდის შეფერხებამ კი ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა [27].

როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიო ფინანსური ბაზრების ღრმა ურთიერთკავშირების გამო, აშშ-ში დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა საბოლოო ჯამში პრაქტიკულად მთელი მსოფლიო მოიცვა. რა თქმა უნდა, კრიზისის გავლენამ საქართველომდეც მოაღწია, თუმცა




საქარელოს ეკონომიკაზე 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომმა ბევრად უფრო დიდი გავლენა მოახდინა. ამდენად საკმაოდ რთულია ამ ორი კრიზისული მოვლენის შედეგების ერთმანეთისგან განცალკევება. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს ფინანსური სექტორი საკმაოდ სუსტად არის განვითარებულია და მსოფლიო ფინანსურ ქსელში ნაკლებად არის ჩართულია, რამაც კრიზისის ნეგატიურ გავლენას ნაწილობრივ შეუშალა ხელი. მეორეს მხრივ კი ფინანსურ სექტორში განვითარებულმა კრიზისმა გამოიწვია კრიზისი რეალურ სექტორში რაც საქართველოსთვის, როგორც მცირე ღია ეკონომიკისთვის ბევრად უფრო საზიანო იყო [41. გვ. 11].

საქართველოში მსოფლიო ფინანსურ ეკონომიკური კრიზისი შემოვიდა საერთაშორისო არხების დახმარებით პირველი დარტყმა მიიტანა ქვეყნის საგარეო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, შემდგომ მონეტარულ მაჩვენებლებზე და ბოლოს რეალურ სექტორზეც მიიტანა იერიში. მან პირველ რიგში ზეგავლენა მოახდინა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ფულად გზავნილებზე.

2008 წლის III კვარტალში მოხდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება წინა კვარტალთან შედარებით 78%-ით, ხოლო 2007 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით 29%-ით (იხ. დიაგრამა 2.2.1).

დიაგრამა 2.2.1




წყარო - საქსტატი (მლნ. აშშ დოლარი)

(<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>)

რაც შეეხება ფულად გზავნილებს 2009 წლის I კვარტალში 2008 წლის IV კვარტალთან შედარებით, ფულადი გზავნილები შემცირდა 44%-ით, ხოლო წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით 20%-ით (იხ. დიაგრამა 2.2.2).

დიაგრამა 2.2.2




წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (მლნ. აშშ დოლარი)  
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ფულადი გზავნილების გარდა კრიზისმა ასევე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მიმდინარე ანგარიშის სალდოზე. მიმდინარე ანგარიშის სალდოს მკვეთრი ვარდა ჯერ კიდევ 2007 წლის IV კვარტალში დაიწყო ის 2007 წლის III კვარტალთან შედარებით 95%-ით გაიზარდა. ხოლო კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია 2008 წლის II კვარტალში, რომელიც 2007 წლის III კვარტალთან შედარებით გაზრდილია 126%-ით, ხოლო 2007 წლის II კვარტალთან, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 124%-ით. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია სავაჭრო ბალანსი, რომელიც იმეორებს მიმდინარე ანგარიშის სალდოს ტრენდს. 2007 წლის IV კვარტალში სავაჭრო ბალანსის სალდო 2007 წლის III კვარტალთან შედარებით გაიზარდა 49%-ით. კრიტიკულ ზღვარს მიაღწია 2008 წლის IV კვარტალში, სადაც 2007 წლის III კვარტალთან შედარების

სავაჭრო ბალანსის სალდო 51%-ით გაიზარდა. მომსახურების ბალანსის სალდომ, ასევე 2007 წლის IV კვარტალში დაიწყო კლება. 2007 წლის III კვარტალთან შედარებით იგი შემცირდა 99%-ით, კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია 2008 წლის III კვარტალში სადაც 2007 წლის III კვარტალთან შედარებით დაფიქსირდა 121%-იანი შემცირება (იხ. დიაგრამა 2.2.3).

დიაგრამა 2.2.2



წყარო - საქართველოს ეროვნული ბანკი (მლნ. აშშ დოლარი)  
(<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>)

საგარეო სექტორის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებამ, რა თქმა უნდა რეალურ და მონეტარულ სექტორზეც იქონია დიდი ზეგავლენა. მონეტარულ სექტორში მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2009 წელს 2008 წელთან შედარებით გაიზარდა 9%-ით, ხოლო დეპოზიტებზე 2009 წელს საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 17%-ით (იხ. დიაგრამა 2.1.8), ინფლაციის დონე 2009 წელს 2008 წელთან შედარებით შემცირდა 83%-ით (იხ. დიაგრამა 2.1.7), ხოლო სავალუტო გაცვლითი კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა 5%-ით, ხოლო დოლართან მიმართებაში 11%-ით.

შემცირებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, შემცირებულმა ფულადმა გზავნილებმა, გაზრდილმა მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტმა, შემცირებულმა

ინფლაციამ და გამყარებულმა სავალუტო კურსმა შეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპსა და უმუშევრობის დონეზე. კერძოდ, 2008 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა 2007 წელთან შედარებით შემცირდა 80%-ით და შეადგინა 2,42%-ს, ხოლო 2009 წელს 2007 წელთან შედარებით შემცირდა 129%-ით და დაფიქსირდა უარყოფითი ეკონომიკური ზრდა -3,65%. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, ის მკვეთრად გაიზარდა 11,5%-ით 2007 წელს 2006 წელთან შედარებით ხოლო პიკს მიაღწია 2009 წელს 18,3%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი 2006 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 16%-ით.

ზემოთ ხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე შესაძლებელია იმის თქმა, რომ 2007, 2008 და 2009 წლები საქართველოს ეკონომიკისთვის იყო ძალიან მძიმე წლები, მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის უარყოფით ზეგავლენასთან ერთად, უარყოფითად იმოქმედა 2008 წლის ომმა საქართველოს ეკონომიკაზე. შედეგად მივიღეთ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება ეკონომიკის ყველა სექტორში, რაც მძიმე ტვირთი აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობისა და ეკონომიკისთვის.

## თავი III. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა საქართველოში

### 3.1 მონეტარული პოლიტიკის ანტიკრიზისული შესაძლებლობები

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით. 2008 წელს აღნიშნულ კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლის მიხედვითაც ცხადად განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა, ხოლო სხვა ფუნქციები როგორც არის უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა, გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას უნდა შესრულდეს მაშინ, თუ ეს შესაძლებელი იქნება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. შესაბამისად ფულად საკრედიტო პოლიტიკის მიზანი იყო ფასების სტაბილურობაზე ორიენტირება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, მოსახლეობის შემოსავლების გაუფასურებისგან დაცვა და მთლიანი შიდა პროდუქტის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალის ამაღლება. [40. გვ 25]

2009 წელს ეროვნული ბანკი გადავიდა მონეტარული პოლიტიკის ახალ რეჟიმზე - ინფლაციის თარგეთირებაზე. ინფლაციის თარგეთირება მრავალ ქვეყანაში ხორციელდება. ინფლაციის თარგეთირების დროს საშუალოვადიანი პერიოდისათვის ცხადდება ინფლაციის მკაფიო სამიზნე მაჩვენებელი, ხშირ შემთხვევაში ასევე ცხადდება სამიზნე მაჩვენებელიდან გადახვევის სამიზნე მაჩვენებელი. ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი უნდა იყოს ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. 2009 წლისთვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ზრდა 9 პროცენტის ოდენობით, ხოლო დასაშვები გადახრის საზღვრები +/- 2 პროცენტით განისაზღვრა. იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღმატება მიზნობრივს საქართველოს ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას საპროცენტო განაკვეთის აწევით, ხოლო თუ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მიზნობრივზე დაბალია საქართველოს ეროვნული ბანკი

შემცირებს მონეტარულ პოლიტიკა საპროცენტო განაკვეთის დაწევით. საქართველოს შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს იქცა ერთკვირიანი რეფინანსირების განაკვეთი. მოკლევადიანი ფულადი ბაზრის საპროცენტო ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან ინსტრუმენტზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს და საბოლოო ჯამში საბანკო სესხების განაკვეთს. საბანკო სესხების პროცენტის ზრდა ბოჭავს ერთობლივ მოთხოვნას, ხოლო პროცენტის შემცირება სტიმულს აძლევს ერთობლივ მოთხოვნას. თუმცა იმის გამო, რომ ლარის ფულადი ბაზარი საქართველოში ჯერჯერობით არ არის საკმარისად განვითარებული, საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობა დაბალია. ამიტომ ეროვნული ბანკი აქტიურად მიმართავდა მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას მონეტარული აგრეგატების რაოდენობის რეგულირების გზით. საოპერაციო ორიენტირად გამოიყენებოდა სარეზერვო ფული, ხოლო შუალედურ ორიენტირად - ფართო ფულის M2 აგრეგატი [26. გვ. 34].

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკა ხორციელდებოდა მაკროეკონომიკური გარემოს, მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესების და ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებათა კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. მხედველობაში მიიღებოდა საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული ფასების დინამიკა, მთავრობის ფისკალური პოლიტიკა, საფინანსო და სავალუტო ბაზარზე არსებული ტენდენციები, სამომხმარებლო ფასების კალათისა და მონეტარული გადაცემის თავისებურებანი, რაც ინფლაციის ფორმირებასა და ეროვნული ვალუტისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას განაპირობებდა [26. გვ. 35].

2008 წლის პირველ ნახევარში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო. მაღალი ინფლაციის დონის მაჩვენებელი იყო 2007 წელს სამომხმარებლო კალათისათვის ზოგიერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე ფასების და ადმინისტრირებადი ფასების ერთჯერადი ზრდით იყო გამოწვეული. ეროვნული ბანკის პროგნოზით ივლისის თვეში ინფლაციის მაჩვენებელს კლება უნდა დაეწყო, რაც მართლაც მოხდა, თუმცა აგვისტოს თვეში განვითარებულმა მოვლენებმა გაართულა საქონლის ტრანსპორტირება

ერთი ადგილიდან მეორე ადგილში, შედეგად საქონლის მიწოდების სიმცირემ ბაზარზე გამოიწვია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა და ინფლაციის მაჩვენებელმა წლის განმავლობაში შედეგად მაქსიმალურ ნიშნულამდე მიაღწია, რასაც თან დაერთო საერთაშორისო ბაზრებზე ენერგომატარებლებზე, ხორბალზე და საქონელზე ფასების საგრძნობი დაცემა. შედეგად წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ინფლაციის კლება მოხდა, როგორც საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, ისე საქართველოში [26]. ინფლაციის შემცირება 2009 წელის დასაწყისშიც გაგრძელდა, ხოლო აგვისტოს თვეში შედეგად დეფლაცია მივიღეთ. მეოთხე კვარტალში ინფლაცია მცირედით გაიზარდა რისი განმაპირობებელი ფაქტორიც ძირითადად საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის გაძვირება იყო, რის შედეგადაც საქართველოში მოხდა საწვავის გაძვირება [26].

2008-2009 წლებში ინფლაციის მერყეობამ თავისთავად საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნები და სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

აგვისტოში განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა, ხოლო შემდგომ პერიოდში მსოფლიო კრიზისის გამწვავებამ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა. საომარი მოქმედებების შედეგად გაზრდილმა გაურკვეველობამ საბანკო სისტემიდან დეპოზიტების გადინებას საგრძნობლად შეუწყო ხელი. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა შეფერხებები მეანაბრების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ეროვნულმა ბანკმა დროებით გაათავისუფლა კომერციული ბანკები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისგან და ამის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის რესურსი გამოათავისუფლა. ეკონომიკის მოსალოდნელი ზრდის ტემპის პროგნოზის გაუარესების, როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ, ასევე ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში და ზოგადად მსოფლიოში, საერთაშორისო ბაზრებზე დეფლაციური პროცესების გაძლიერების, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტის ზრდისა და საკრედიტო რესურსის მოძიების გართულების შედეგად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ ეროვნულმა ბანკმა

შეცვალა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ექსპანსიური, ეკონომიკის სტიმულირებისკენ მიმართული პოლიტიკით [29. გვ. 27].

მონეტარული პოლიტიკის ცვლილებამ და საბანკო სისტემის ლიკვიდობის სიჭარბიდან დეფიციტის მდგომარეობაში გადასვლამ, დღის წესრიგში დააყენა მონეტარული პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტის, 7 დღიანი რეფინანსირების სესხების ამოქმედება. ის საშუალებას მისცემდა ბანკებს ეფექტურად ემართათ ლიკვიდობა და ეკონომიკური აგენტების მოლოდინებზე მოახდენდა ზეგავლენას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2008 წლის აგვისტოს შემდგომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რომელიც 12 პროცენტი იყო წლის ბოლომდე ოთხჯერ დასწია ეტაპობრივად, თითო ჯერზე 1 პროცენტით და წლის ბოლოს 8 პროცენტს შეადგინა. აღნიშნული ქმედებები 2008 წელს არ აღმოჩნდა საკმარისი ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლებისათვის, ამიტომ ეროვნულმა ბანკმა 135,9 მილიონი ლარის რესურსი დამატებით გამოუყო საბანკო სისტემას. აღნიშნული ქმედება მიმართული იყო ეკონომიკური აქტივობის ზრდისკენ, თუმცა მან ოქტომბერ-ნოემბერში ეკონომიკური აგენტების მოლოდინები მიმართა ლარის გაუფასურებისკენ. შედეგად მკვეთრად შემცირდა ლარზე მოთხოვნა. 2008 წელს სავალუტო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი იყო ლარის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების შერბილება, ლარის რეალური ეფექტური კურსის გამყარების შესუსტება და საერთაშორისო რეზერვების აკუმულირება. შედეგად გაცვლითი კურსი, რომელიც არის მნიშვნელოვანი ინფლაციური მოლოდინების ფორმირებისთვის, რყევების საფრთხის წინაშე დადგა, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკი, გაცვლითი კურსის რაიმე ნიშნული განსაზღვრას არ ცდილობდა. მიუხედავად ამისა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფარგლებში იგი ახორციელებდა ინტერვენციებს. ინტერვენციების მიზანი იყო კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება და არა კურსის მოძრაობის ძირითადი ტრენდის შეცვლა ან კონკრეტული საკურსო თანაფარდობის ჩამოყალიბება. თუმცა, ასევე ამ პერიოდში მოხდა მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის გამწვავება, რამაც გამოიწვია აშშ დოლარის გამყარება სხვა ვალუტებთან მიმართებაში. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე მოხდა ლარის მკვეთრი ვარდნა [39].



გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა 2009 წელს. მის შედეგებთან ერთად, აგვისტოს ომის შედეგებმა გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის უფრო მეტად დაქვეითება. შედეგად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში სამჯერ შეამცირა მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი და 6 პროცენტამდე დაწია, რაც მიზნად ისახავდა კომერციული ბანკებისათვის რესურსების გაიაფებას და ბანკთაშორის ფულადი ბაზრის გააქტიურებას. საქართველოში ეკონომიკის აღდგენასთან დაკავშირებით რისკების გაზრდის გამო კომერციული ბანკების სესხების გაცემას როგორც ეკონომიკაში, ასევე ბანკთაშორის ბაზარზე სიფრთხილით ეკიდებოდნენ, შედეგად საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი შესუსტდა. უნდა აღინიშნოს, მაღალი დოლარიზაციის დონის გამო საპროცენტო განაკვეთის მექანიზმი ისედაც სუსტი იყო [26].

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაიღო. აღნიშნულმა რესურსებმა ნაწილობრივ შეძლო ჩაენაცვლებინა მსოფლიო კრიზისის შედეგად შემცირებული კერძო კაპიტალის შემოდინება, რაც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა იმდროინდელი ეკონომიკური ზრდისთვის. შესაბამისად საერთაშორისო დახმარებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკური ვარდნის შერბილებაში. მიღებული სახსრები აკუმულირდა ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებში. შედეგად სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკი აღმოჩნდა უცხოური ვალუტის ერთადერთი მიმწოდებელი და იმისათვის, რომ ბაზრისთვის უფრო ეფექტურად მიეწოდებინა უცხოური ვალუტა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის მარტში აამოქმედა სავალუტო აუქციონები. ის ბირჟაზე უშუალო ჩარევისგან განსხვავებით უფრო მეტად არის დამყარებული საბაზრო პრინციპებზე. აუქციონების გამოყენების პირველმა თვეებმა დაადასტურა მათი ეფექტიანობა. აუქციონების შედეგად ბანკთაშორის ბაზარზე აქტივობა გაიზარდა, სავალუტო ბაზარი დასტაბილურდა, რის შემდგომაც ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა სავალუტო ბაზარზე ჩარევა. ასევე სავალუტო აუქციონების შედეგად სავალუტო კურსი გახდა უფრო მეტად მოქნილი, რამაც არამიმზიდველი გახადა ის სპეკულაციური

შეტევებისათვის, ასევე სავალუტო აუქციონზე გამოტანილი ფულის მოცულობა გაცილებით ნაკლებია ინტერვენციების დროს განხორციელებულ მოცულობაზე, რაც უფრო მეტ რეზერვებს ნიშნავს, აღნიშნული კი ზრდის გრძელვადიანი სტაბილურობის და სპეკულაციური შეტევებისგან დაცვის გარანტიას. ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართული იყო ლარის ფულადი ბაზრის განვითარებისკენ, რაც მომავალში ხელს შეუწყობ დედოლარიზაციას. დედოლარიზაცია მნიშვნელოვანია, რადგან დოლარიზაციის მაღალი დონე ხელს უშლის მონეტარული პოლიტიკის გატარებას, ის მას ნაკლებეფექტიანს ხდის. დოლარიზაციის დონის თანდათანობით შემცირება უნდა მოხდეს და ეს პროცესი იმაზე დიდ ხანს მოითხოვს ვიდრე ერთი წელია [26].

დოლარიზაციის ხარისხის შემცირების მიზნით, ასევე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი - სავალუტო სვოპი. სავალუტო სვოპი არის ორი სესხის კომბინაცია სხვადასხვა ვალუტაში. იგი ამცირებს მსესხებლის სავალუტო რისკს და ამლიერებს ეკონომიკის ლარიზაციის პროცესს. აგრეთვე ეხმარება ბანკებს გაზარდონ სესხების პორტფელი ეროვნულ ვალუტაში. სვოპის დაფარვის დღეს ეროვნული ბანკი დააბრუნებს აშშ დოლარის სესხს და თვითონ დაიბრუნებს ლარის სესხს სარგებელთან ერთად. აღნიშნული რეფორმის მიზანია სვოპის ბაზრის განვითარება და ეროვნული ვალუტით სესხების ზრდის ხელშეწყობა. ლარის ფულადი ბაზრის განვითარებისთვის, ასევე ფინანსთა სამინისტრომ მოახდინა სახაზინო ვალდებულებების გამოშვების განახლება. 2009 წელს აუქციონების გზით განთავსდა 270 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულება. სახაზინო ობლიგაციების პრიორიტეტი არის ის, რომ ისინი ურისკო აქტივებია, რაც დაეხმარება კომერციული ბანკებს პორტფელის დაბალანსებაში, ასევე ის ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი ბაზრების განვითარებას და მას ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების კუთხით საგარეო ვალის აღებასთან შედარებით პრიორიტეტები გააჩნია, რაც გულისხმობს რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყანას ვალის მომსახურების ხარჯები უმცირდება და ის შიდა ვალს წარმოადგენს და სახსრები ქვეყნის გარეთ არ გაედინება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულადი ბაზრის ხელშეწყობის მიზნით ასევე

მოახდინა სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია. წლის განმავლობაში საბანკო სისტემაში არსებული მოჭარბებული ლიკვიდობის გამო მოთხოვნა სადეპოზიტო სერტიფიკატებზე მაღალი იყო [26].

### 3.2 საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა

**ახალი ფინანსური პაკეტი** - მსოფლიო კრიზისის დროს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ შეედგინათ კონკრეტული ანტიკრიზისული გეგმა იმისათვის, რომ თავი დაეღწიათ კრიზისისთვის ან მინიმუმამდე დაეყვანათ კრიზისის უარყოფითი შედეგები. როდესაც ქვეყანაში კრიზისი მძვინვარებს ანტიკრიზისული გეგმის შედგენა არის ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი კრიზისიდან თავის დასაღწევად. სამწუხაროდ მაშინ, როდესაც საქართველოში მძვინვარებდა მსოფლიო ეკონომიკურ ფინანსური კრიზისი, რომელსაც კიდევ უფრო მეტად დამანგრეველი შედეგები ჰქონდა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის გამო, საქართველოს მთავრობას არ შეუმუშავებია ანტიკრიზისული გეგმა. ანტიკრიზისული გეგმის არ ქონა კიდევ უფრო უარყოფით ეკონომიკურ მოლოდინებს ქმნის. მთავრობამ ვერ შეძლო ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება, თუმცა შეიმუშავა „ახალი ფინანსური პაკეტი“. ახალი ფინანსური პაკეტი. ახალი ფინანსური პაკეტის პრეზენტაცია მოხდა 2009 წლის 30 ივნისს პრემიერ-მინისტრის მიერ. აღნიშნული პაკეტის შექმნაში მონაწილეობდა საქართველოს მთავრობა, ეროვნული ბანკი, თბილისის მერია და საქართველოში მოქმედი სამშენებლო და საბანკო ასოციაციები. ახალი ფინანსური პაკეტის მიზანია ეკონომიკური ზრდის და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება. პაკეტი ძირითადად მიმართული იყო საქართველოს საბანკო და სამშენებლო სექტორისკენ. საბანკო სექტორისთვის უნდა შექმნილიყო სტიმულები, რათა დაკრედიტების ხაზი გაძლიერებულიყო, ხოლო სამშენებლო სექტორისთვის უნდა მიეცათ სტიმული, რათა დაემთავრებინათ მშენებლობები.

ახალი ფინანსური პაკეტი შედგება ხუთი პუნქტისგან: პირველი პუნქტის მიხედვით სამშენებლო სექტორს გამოეყოფოდა არეალი, სადაც მათ შეძლებოდათ მოსახლეობასთან დაედოთ ხელშეკრულებები ახალი ბინებით უზრუნველყოფის თაობაზე. ამ საზღაურს სახელმწიფო და ქალაქის მერია უზრუნველყოფდა. ამ გარანტიის სამშენებლო სექტორს ეძლეოდა საშუალება ბანკებისგან მიერო დაფინანსება, რათა დაემთავრებინა ბოლომდე სამშენებლო. ახალი ფინანსური პაკეტის მესამე პუნქტი იყო გაცვლითი კურსის დაზღვევის ინსტრუმენტი, ანუ კერძო ბანკებს საშუალება მიეცათ, უცხოურ ვალუტაში

აკუმულირებული სახსრების მიუხედავად დაკრედიტება ეროვნული ვალუტით მოეხდინათ. მეოთხე პუნქტის მიხედვით მთავრობამ სახაზინო ვალდებულებების საშუალებით ისესხა თანხა ბანკებისგან, ხოლო მეხუთე პუნქტის მიხედვით მთავრობამ ახალი საკრედიტო პაკეტი მოითხოვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან [28].

აღსანიშნავია რომ მთავრობის მხრიდან არ მომხდარა აღნიშნული კომპანიების გადამოწმება სტაბილურობის კუთხით. ამ რეფორმის გატარებას წინ არ უძღოდა კომპანიების მიმართ გაკოტრების პროცედურების ინიცირება. საქართველოში მოქმედი ბევრი სამშენებლო კომპანია კი „ფინანსური პირამიდის“ პრინციპზე მუშაობდა. შესაძლებელია იმის თქმა, რომ აღნიშნული რეფორმა ზემოთ ხსენებული მიზეზის გამო ზიანის მომტანი ყოფილიყო სამშენებლო და საბანკო სექტორისთვისაც, რადგან მოხდა როგორც ჯანსაღი კომპანიების ასევე ფინანსური პირამიდების მხარდაჭერა. მეორე და მესამე პუნქტები ეხებოდა საბანკო სექტორის გააქტიურებას, ანუ ეკონომიკის მეტ დაკრედიტებას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორთან მიმართებაში გადაიდგა ურთიერთსაწინააღმდეგო ნაბიჯები. კერძოდ ეროვნული ბანკის და სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, რადგან ეროვნულმა ბანკმა შეამსუბუქა ბანკების მარეგულირებელი ნორმატივები, აღნიშნულმა რეფორმამ საშუალება მისცა დამატებითი საკრედიტო რესურსების გაჩენას, მაგრამ რადგანაც ბანკებს უჭირდათ კრედიტების განთავსება მთავრობამ მოახდინა 260 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებების ემისია. ამ რეფორმის შედეგად რეალური სექტორისკენ მიმართული დაკრედიტების საშუალების ათვისება მოხდა მთავრობის მიერ. მთავრობას მოპოვებული ფინანსური სახსრების განთავსება მოახდინა ინფრასტრუქტურულ პროექტებში. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საკრედიტო რესურსის შემცირებით მთავრობამ შეზღუდა საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების შესაძლებლობა [28].

**საგადასახადო რეფორმები** - საქართველოს მთავრობამ, ასევე საგადასახადო კოდექსშიც შეიტანა ცვლილებები. ცვლილებები შეეხო საგადასახადო განაკვეთებს. 2010

წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის პირველ იანვარს. 2008-2009 წლებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. 2008 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და სანაცვლოდ საშემოსავლო გადასახადი 25%-მდე გაიზარდა.

2. 2008 წელს მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-იდან 15%-მდე.

3. 2009 წლის პირველი იანვრიდან საშემოსავლო განაკვეთი შემცირდა 25%-იდან 20%-მდე.

4. 2009 წლის პირველი იანვრიდან დივიდენდების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი 10%-იდან შემცირდა 5%-მდე. პროცენტების სახით მიღებულ შემოსავალზე 2009 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო განაკვეთი 10%-იდან შემცირდა 7,5%-მდე, 2010 წლის პირველი იანვრიდან კი 5%-მდე.

მოუხედავად იმისა, რომ საგადასახადო განაკვეთები შემცირდა და გადასახადების სახეობების რაოდენობა შემცირდა, მაინც არ მოხდა საგადასახადო ტვირთით შემსუბუქება ისე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მართალია მოხდა გადასახადების სახეობების შემცირება თუმცა ეს შემცირება მათი ერთმანეთთან ინტეგრირების ხარჯზე იყო, შედეგად მივიღეთ ნაკლების სახეობის გადასახადები, თუმცა არსებული გადასახადების მოქმედების არეალი გაფართოვდა [37].

**საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია 2010-2013 წლებში** - საქართველოს მთავრობის მთავარი მიზანი არ შეცვლილა კრიზისის შემდგომ პერიოდშიც. კვლავ გრძელდებოდა პროგრამა „ერთიანი საქართველოს სიღარიბის გარეშე“. საქართველოს მთავრობა კონცენტრირებული იყო აღნიშნული მიზნის მისაღწევად, თუმცა მის წინაშე 2008 წლის მოვლენებიდან გამომდინარე იდგა ორი მეტად ძლიერი გამოწვევა:

1. ოკუპირებული ტერიტორიების გამო საფრთხის ქვეშ იყო მოსახლეობის ნაწილი.

2. მსოფლიოში მძვინვარებს და უფრო მეტად მწვავე ხდება გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის.

გლობალური ეკონომიკურ ფინანსური კრიზისის კუთხით საქართველოში 2010-2013 წლებში შემდეგი საშუალოვადიანი გეგმები იყო შემუშავებული:

1. ევროკავშირთან მიმართებაში ურთიერთობაში უფრო ფართოდ გავრცელდება „ოთხი თავისუფლების პრინციპი“ - უზრუნველყოფილი იქნება საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების გადაადგილება. ადამიანების თავისუფალი გადაადგილების ხარისხი გაიზრდება საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის, უპირველეს ყოვლისა სტუდენტების, მეწარმეებისა და მეცნიერებისთვის.

2. სახელმწიფო დააფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მოიზიდავს ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებს, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას.

3. სოციალური პოლიტიკის მთავარი პრინციპი დაფუძნებული იქნება სოციალური დანახარჯების ეფექტიანობაზე და მიზნობრიობის ხარისხის ზრდაზე, ანუ უფრო მეტი და მნიშვნელოვნად გაზრდილი ფინანსური დახმარება გაიწევა სოციალურად ყველაზე მეტად დაუცველ მოსახლეობაზე.

4. ეტაპობრივად გაიზრდება სოციალური საპენსიო პაკეტის მოცულობა და ის 100 აშშ დოლარს შეადგენს.

5. გაუმჯობესდება სადაზღვევო სისტემა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული იქნება 1 200 000 000 ადამიანი. სრულად ამოქმედდება სამედიცინო სადაზღვევო სისტემის განვითარების გეგმა.

6. საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის და სახელმწიფო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას. გაგრძელდება 90-იან წლებში იძულებით გადაადგილებული პირების უზრუნველყოფა სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

7. ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით დაიწყება სამშენებლო სამუშაოები, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

8. გაიზრდება ენერგო სისტემის მდგრადობა და განხორციელდება სექტორის შემდგომი დარეგულირება.

9. სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით რეაბილიტირებული იქნება საირიგაციო-სადრენაჟე სისტემები, გაგრძელდება ფერმერული მეურნეობებისთვის ტრაქტორების შეძენა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის სასუქის დარიგება.


10. შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და დასაქმდება ათასობით ადამიანი.

11. ინფრასტრუქტურის განვითარების გამო ხელის შეეწყობა დასაქმების კუთხით არსებულს რეგიონალურ დისბალანსს [38. გვ. 2-3].

საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი გეგმების ნაწილი ძირითადად ერთჯერადი ხასიათის მატარებელია. მართალია არსებული გეგმები საწარმოების შექმნისა და ინფრასტრუქტურული განვითარების შესახებ კარგად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თუმცა დღემდე ვერ იქნა მიღწეული ამ გეგმების საბოლოო შედეგები. ასევე ძალიან სუსტად არის განვითარებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები. აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის პროდუქციის მთლიანი გამოშვებაში 14.8%-ს შეადგენს, აღნიშნული მაჩვენებელი 2008 წელს 16,4%, ანუ 2008 წლის მაჩვენებელი 9,7%-ით არის შემცირებული და 2014 წლის შემდგომ ცალსახა კლების ტენდენცია არის გამოკვეთილი (იხ. ცხრილი 3.2.1). ასევე მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის წილს მთლიან შიდა პროდუქტში კლებადი ტენდენცია აქვს და 2008 წლის მაჩვენებელი 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 17%-ით არის შემცირებული. (იხ. ცხრილი 3.2.2)

დიაგრამა 3.2.1


აგრო ბიზნესის წილი მთლიან გამოშვებაში



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)



სოფლის მეორეობის წილი მთლიან გამოშვებაში



წყარო - საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ევროპასთან ინტეგრაციაში გადაიდგა დადებითი ნაბიჯები ევროპის ქვეყნებში გადაადგილების საკითხი დღეს უფრო მეტად გამარტივებულია, ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებაც შეძლეს, თუმცა საქართველოს ეკონომიკა დღესაც დგას დიდი გამოწვევების წინაშე სტრატეგიის მთავარი მიზანი, ასევე იყო, რომ ეკონომიკური ზრდა უნდა დაბრუნებოდა მსოფლიო კრიზისამდე არსებულ მაჩვენებელს. 2007 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი იყო 12.58%, ხოლო 2018 წელს კი არის 4,72%. შესაძლებელი ითქვას, რომ გეგმების და მიზნების ნაწილის შესრულება არ მოგვცემს საშუალებას დასახულ მიზნებს მივაღწიოთ.

## დასკვნა

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ციკლები, მათი თავისებურებები და გამომწვევი მიზეზები. ეკონომიკური ციკლების ძირითადი გამომწვევი მიზეზები ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: ეს არის გარე და შედა ფაქტორები.

ეკონომიკური ციკლები რთულად პროგნოზირებადია, თუმცა არსებობს გარკვეულ ინდიკატორთა სისტემა, რომელთა მოკლევადიან პერიოდში დაკვირვებისას შესაძლებელია ციკლის დაწყების პროგნოზირება. ამისათვის იყენებენ 10 წამყვან ინდიკატორს:

- საშუალო ყოველკვირეული საათობრივი მწარმოებლურობა
- უმუშევრობის დაზღვევის საშუალო ყოველკვირეული კონტრაქტების რაოდენობა
- მწარმოებლების ახალი შეკვეთები სამომხმარებლო საქონელსა და მასალებზე
- მწარმოებლების ახალი შეკვეთები არასამხედრო კაპიტალის საქონელზე, გარდა ავიაციისა
- ISM ახალი შეკვეთების ინდექსი
- ახალი კერძო ობიექტების მშენებლობის ნებართვები
- საფონდო ფასების ინდექსი
- წამყვანი საკრედიტო ინდექსი
- საპროცენტო განაკვეთის გაფართოება: 10 წლიან სახაზინო ობლიგაციების სარგებელს გამოკლებული ფედერალური ფონდების განაკვეთი
- მომხმარებელთა მოლოდინები ბიზნესის და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ

იმისათვის, რომ ციკლის ბუნება უფრო კარგად წარმოჩინდეს და გამოიკვეთოს ციკლისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, ნაშრომში ასევე აღწერილია ციკლისთვის დამახასიათებელი ფაზები: გაფართოება, ბუმი, რეცესია-დეპრესია და გამოცოცხლება.

ფინანსური კრიზისისთვის დამახასიათებელია სავალუტო კრიზისი, საბანკო კრიზისი, სავალო კრიზისი, ან მათი კომბინაციები. ფინანსური კრიზისის გამომწვევ ძირითად მიზეზად კი შესაძლებელია გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი მიზეზი:

- გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა, რომლის დროსაც კრიზისის დაწყების მომენტის პროგნოზირება ძალიან რთულია.
- ფინანსური კაპიტალის ნაკადები, რომელიც განიცდის მკვეთრ ცვალებადობას, ანუ უეცრად შემოედინება ქვეყანაში ან გაედინება ქვეყნიდან.

2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის მიზეზი ამერიკის უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე პროცესები იყო, რომლებიც ჯერ კიდევ 2000 წელს იღებს სათავეს: 2001-2006 წლებში მკვეთრად აღინიშნებოდა ფასების მკვეთრი ზრდა, ხოლო 2007 წლიდან მკვეთრი ვარდნა, ანუ მოხდა ფინანსური ბუშტის გასკდომა. უძრავი ქონების ბაზარზე ბუშტის წარმოქმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო 2000 წელს სუბსტანდარტული იპოთეკების შემოღებაზე და აშშ-ის საბანკო სისტემის ფინანსურ დერეგულაციაზე. საინტერესოა ასევე მისი გავრცელების არხები. გავრცელების არხების როლში კი აღმოჩნდა ამერიკის ფინანსურ ბაზარზე სტანდარტული იპოთეკების შემოღების თანამდევნი ორი ახალი ინოვაციური ფასიანი ქაღალდი, კერძოდ, იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები და სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები. იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების და სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაციების უსაფრთხოება მათი რეიტინგით განისაზღვრებოდა. ასევე ისინი საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით გამოირჩეოდნენ. შესაბამისად, ისინი ძალიან მიმზიდველნი აღმოჩნდნენ მთელი მსოფლიოს ინვესტორებისთვის, რომელთაც ჰქონდათ სურვილი თავიანთი ფული დაეხსნათ უსაფრთხო ფასიანი ქაღალდებში. შესაბამისად, რადგანაც აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გახდა მსოფლიო ინვესტორებისთვის მეტად მიმზიდველი, უძრავი ქონების ბაზარზე დაწყებული კრიზისიც მალევე გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც.

2007-2008 წლების კრიზისის ჰქონდა დამანგრეველი შედეგები, სწორედ ეს გახდა წინაპირობა იმისა, რომ მეცნიერებს დაეწყოთ ფიქრი პრევენციულ ღონისძიებებზე. მეცნიერთა აზრით კრიზისის პრევენცია შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი რეფორმების გატარებით:

- ახალი სარეზერვო ვალუტა;

- გაცვლითი კურსის მართვის მრავალმხრივი წესები;
- დამატებითი რეფორმები: მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერებული კოორდინაცია და ზედამხედველობა, კაპიტალის კონტროლი;

ნაშრომში განხილულია კრიზისის შემდგომი საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რომლებიც დაყოფილია ოთხ მთავარ ჯგუფებად:

- რეალური სექტორი
- მონეტარული სექტორი
- საგარეო სექტორი
- ფისკალური სექტორი

საქართველოს რეალური სექტორის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით აშკარად იკვეთება შემდეგი ტენდენცია:

1. 2009 წელს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა (-3,65%) დაფიქსირდა. უარყოფითი ეკონომიკური ზრდის გამომწვევია ფაქტორი არის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს ომი. აღნიშნულმა ორმა ფაქტორმა მოახდინა დიდი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდის ტემპზე, ხოლო 2008 წელს დაფიქსირდა ყველაზე დაბალი ზრდა (2,42%). შესაძლებელია ითქვას, რომ გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს ომმა ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითება მოახერხა 2008 წელს, ხოლო 2009 წელი კიდევ უფრო მწვავე აღმოჩნდა საქართველოსთვის, რადგან დაფიქსირდა უარყოფითი ეკონომიკური ზრდა.

2. თუმცა, შესაძლებელია ითქვას, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის მიმართ შედარებით უფრო მეტად მგრძობიარე აღმოჩნდა შრომის ბაზარი. უმუშევრობის დონე 2008 წლიდან გაიზარდა მაქსიმუმს მიაღწია 2009 წელს - 18,3%.

საქართველოს მონეტარული სექტორის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

4) გლობალური კრიზისის დაწყებამ საქართველოში ინფლაციის ზრდა გამოიწვია, თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომმა იმდენად უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის წარმოების დონეზე, რომ გაზრდილი ინფლაციის ნაცვლად მივიღეთ 2009 წელს დეფლაცია.

5) საპროცენტო განაკვეთების ზრდა თავისთავად თანამდევნი აღმოჩნდა ინფლაციის ზრდის პარალელურად, თუმცა რადგანაც დეფლაციის წინაშე დადგა ქვეყანა, 2008 წლის შემდგომ დაიწყო მისი ეტაპობრივი და არა მკვეთრი ცვლილება და ის დღემდე დაღმავალ ტრენდს ინარჩუნებს.

6) რეალური გაცვლითი კურსი დამოკიდებულია როგორც ნომინალურ გაცვლით კურსზე, ასევე ადგილობრივი და უცხოური ფასების თანაფარდობაზე. 2005 წლიდან დაიწყო რეალური გაცვლითი კურსის გამყარება, რაც ორი მიზეზით იყო განპირობებული:

- ნომინალური გაცვლითი კურსის შემცირებამ, სხვა თანაბარ პირობებში, 2005 წლიდან დადებითი ზეგავლენა მოახდინა რეალური გაცვლითი კურსის ინდექსზე, ამიტომ ის გამყარდა უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში.
- ინფლაციის ზრდამ ასევე დადებითად იმოქმედა რეალური გაცვლითი კურსის ინდექსზე, რომელიც ასევე 2005 წლიდან დაიწყო.

2008 წელს მან მიაღწია პიკს. აღნიშნულ შემთხვევაში ორივე ფაქტორმა გამოიწვია რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება ერთი მიმართულებით.

საქართველოს საგარეო სექტორის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

1) საქართველოს მომსახურებისა და საქონლის ექსპორტი იმეორებს მსგავს ტრენდს. 2009 წელს აღინიშნებოდა საქონლის ექსპორტის 30%-იანი კლება, ხოლო მომსახურების იმპორტის 20%-იანი კლება.

2) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრ ცვლილებებს იწყებს 2008 წელს, ხოლო 2009 წელს მან, შეიძლება ითქვას, მიაღწია ფსკერს. 2008 წელს მოხდა 2007 წელთან შედარებით 10%-იანი კლება, ხოლო 2009 წელს წინა წელთან შედარებით 58%-იანი კლება.

3) 2009 წელს ასევე მკვეთრად იკლო ფულადმა გზავნილებმა წლიურ ჭრილში. მას ახასიათებდა წინა წელთან შედარებით 16%-იანი კლება.

4) მთლიანი საგარეო ვალის მკვეთრი ზრდა აღინიშნება 2007 წლიდან. 2007 წელს იგი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 54%-ით არის გაზრდილი, ასევე მკვეთრი ზრდა ახასიათებს 2008 წელს - დაახლოებით 34%. ამის შემდგომ კი 2012 წლამდე იზრდებოდა საშუალოდ 14%-ით, ხოლო 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი 5%-ს შეადგენს.

საქართველოს ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ნაერთი ბიუჯეტისთვის დამახასიათებელია დადებითი სალდოს შემცირება 2007 წლის შემდგომ, ხოლო 2009 წელს მან უარყოფითი ნიშნული დააფიქსირა.

მართალია საქართველოში ფინანსური ბაზარი არარის კარგად განვითარებული, რამაც ხელი შეუშალა გლობალური კრიზისის შემოღწევას საქართველოში, თუმცა კრიზისის შემოღწევა მაინც მოხდა. კრიზისმა გამოავლინა ეკონომიკური კრიზისისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. შესაძლებელია ითქვას, რომ სპირალისებურად მოედო გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი საქართველოს ეკონომიკას. საქართველოს ეკონომიკა მცირე ღია ტიპის ეკონომიკაა. მსგავსი ტიპის ეკონომიკური სისტემის ქვეყანას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიო ეკონომიკაზე და ის ეკონომიკური შოკების მიმღებია. შესაბამისად, საქართველოს ხელთ არ ჰქონია ბევრი ბერკეტი, რათა შეეჩერებინა ეგზოგენური შოკები. ის, ძირითადად, ეგზოგენური უარყოფითი შოკების მიმღები ქვეყანაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეკონომიკის სიმცირისა, სწორი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარებით და ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავებით შესაძლებელი იქნებოდა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგების შემსუბუქება. კრიზისის მასშტაბებისთვის და შედეგებისთვის საქართველოს მთავრობა არ აღმოჩნდა მზად. მან ვერ შეძლო შეემუშავებინა ანტიკრიზისული გეგმა. წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ახალი ფინანსური პაკეტი, რომლის ძირითადი შემადგენელი პუნქტები ურთიერთსაწინააღმდეგო და საეჭვო იყო. რადგანაც წინასწარ არ ჰქონდა მთავრობას გამოთვლილი კრიზისის მოსალოდნელი შედეგები, შესაბამისად, კრიზისის აფეთქების შემდგომ მოხდა შესაბამისი რეფორმების გატარება, რაც უმოკლეს ვადებში რეაგირებას მოითხოვდა. შესაბამისად, მთავრობას ჰქონდა დარჩენილი სულ უფრო და უფრო ცოტა დრო იმისთვის, რომ შეემუშავებინა შესაბამისი სწორი რეფორმები. არ მოხდა საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ კოორდინირებული პოლიტიკის გატარება. შესაძლებელია ითქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ აღმოჩნდა საქართველო უფრო ცუდ მდგომარეობაში,

ძირითადად საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ გაწეული გრანტები და დახმარებებია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აქუბარდია თ., ეკონომიკური კრიზისი და K-ციკლები, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2009 №3;
2. ბაქრაძე გ., „2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები“, „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტომი №2; 2014 წ;
3. ბახტაძე ლ., ბარბაქაძე ხ., ყანდაშვილი თ., „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, ლექციების კურსი, თბილისი, 2012;
4. გოგორიშვილი ი., ლეკაშვილი ე., პაპაჩაშვილი ნ., სეფაშვილი ე., სიხარულიძე დ., ყორღანაშვილი ლ., შაბურიშვილი შ., ჯამაგიძე ლ, საერთაშორისო ეკონომიკა, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2012 წელი
5. თაგოშვილი ნ., „XXI საუკუნის გლობალურ ფინანსური კრიზისი და მისი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე: პრობლემები, ანალიზი და გამოცდილება“, 2017 წელი;
6. თეთრაული გ., „ეკონომიკური განვითარების რყევების მიზეზები და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე“, თბილისი, 2016;
7. ლეიაშვილი პ., ეკონომიკური მოძღვრება, გამომცემლობა „აზრი“, თბილისი, 2015;
8. მექვაბიშვილი ე., „ეკონომიკური კრიზისების თეორია და გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ ეკონომიკური კრიზისები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012;
9. მექვაბიშვილი ე., თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბილისი, 2012 წ;
10. ჟუჟუაშვილი ნ., ფინანსური კრიზისის განვითარების ეტაპები, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2009 №4;
11. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, 2010;
12. ხადური ნ., ჩიქობავა მ., კაკლულია ნ., „ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა“, თემა 1, ლექციების კურსი, 2013;
13. Akhmeteli, Nina, “Will the American Economic Crisis Hit Georgia?”, Investor.ge, Issue 2, April, 2008, available from: [http://www.investor.ge/issues/2008\\_2/01.htm](http://www.investor.ge/issues/2008_2/01.htm).



14. Arthur F. Burns, *The Business Cycle in a Changing World*, National Bureau of Economic Research, 1969;
15. Lucjan T. Orłowski, *Stages of the 2007/2008 Global Financial Crisis: Is There a Wandering Asset-Price Bubble?*, December 18, 2008
16. Module № 39, *Business Cycle*, Paper 11, *Managerial Economics*
17. N. Gregory Mankiw, *Macroeconomics (Ninth Edition)*, Harvard University;
18. Ouarda Merrouche and Erlend Neir, “What caused the Global Financial Crisis? – Evidence on the Drivers of Financial Imbalance 1999-2007”, November 1, 2010;
19. Romer D., *Advance Macroeconomics (Fours Edition)*, University of California, Berkeley
20. Sebastian duelliem, Detlef J. Kotte Alejandro Marquez, Jan Priewe., *The Financial and economic crisis of 2008-2009 and developing country*, United nations, New York and Geneva, December 2010;
21. Stijn Claessens, M. Ayhan Kose, Luc Laeven, and Fabián Valencia, *Understanding Financial Crises: Causes, Consequences, and Policy Responses*, 2012;
22. *The global crisi: coues, responses and challenges*, International Labour Office, Geneva, 2011;
23. *The Global Economic Crisis: Systemic Failures and Multilateral Remedies*, United Nations, New York and Geneva, 2009
24. *The Global Social Crisis, Report on the World Social Situation 2011*, United Nations, New York, 2011;
25. <http://capitalinstitute.org/blog/six-root-causes-financial-crisis/>
26. [http://gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=151&info\\_id=29185](http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=151&info_id=29185)
27. <http://www.economicdiscussion.net/business-cycles/5-phases-of-a-business-cycle-with-diagram/4121>
28. [http://www.ei-lat.ge/images/stories/The\\_Economic\\_Transformation\\_of\\_Georgia\\_-\\_20\\_Years\\_of\\_Independence\\_Interim\\_Report\\_geo.pdf](http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf)
29. [http://www.papava.info/publications/Papava\\_omis\\_shemdgomi\\_ekonomikuri\\_politika.pdf](http://www.papava.info/publications/Papava_omis_shemdgomi_ekonomikuri_politika.pdf)

30. <http://www.studylecturenotes.com/management-sciences/economics/329-causes-and-factors-of-business-cycle-internal-a-external-factors-of-business-cycle>
31. <https://courses.lumenlearning.com/baycollege-introbusiness/chapter/reading-the-business-cycle-definition-and-phases/>
32. <https://www.economicshelp.org/blog/386/economics/causes-of-business-cycle/>
33. <https://www.geostat.ge/media/13397/CPI%20metodologia.pdf>
34. <https://www.geostat.ge/media/19365/pirdapiri-ucxouri-investiciebis-statistikis-mokle-metodologia.pdf>
35. <https://www.geostat.ge/media/20575/Measurement-of-employment%2C-unemployment-and-underemployment--.pdf>
36. <https://www.geostat.ge/media/9283/GDP-Brief-Methodology.pdf>
37. [https://www.mof.ge/dziritadi\\_monacemebi\\_mimartulebebi\\_2010\\_2013](https://www.mof.ge/dziritadi_monacemebi_mimartulebebi_2010_2013)
38. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
39. [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014\\_2/1.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_2/1.pdf)
40. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2009/annual\\_report\\_geo\\_2009\\_new\\_web.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2009/annual_report_geo_2009_new_web.pdf)
41. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/tsliuri\\_angarishi\\_2008\\_geo.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/tsliuri_angarishi_2008_geo.pdf)